



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ნინო კოპაძე

უბედური შემთხვევის დაზღვევა, როგორც დასაქმებულის დაცვის
მექანიზმი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნატალია მოწონელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 2019 წ

სარჩევი

1. შესავალი.....	4
2. უბედური შემთხვევის დაზღვევის წარმოშობის და განვითარების ისტორიული საფუძვლები.....	5
3. უბედური შემთხვევის დაზღვევის არსი და მიზნები.....	7
3.1. უბედური შემთხვევის დაზღვევის გამიჯვნა ჯანმრთელობის დაზღვევისგან.....	9
4. უბედური შემთხვევის დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში.....	11
5. უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება.....	13
5.1 დაზღვევის ინტერესი	14
5.2 სადაზღვევო შემთხვევა და სადაზღვევო გამონაკლისები.....	16
5.3 სადაზღვევო რისკი	17
5.4 დამზღვევის ვალდებულება	18
5.5 მზღვეველის პასუხისმგებლობის ფარგლები	19
6 საწარმოო უბედური შემთხვევები და შრომის უსაფრთხოების პრობლემები.....	20
6.1 საწარმოო უბედური შემთხვევისგან გამონეული ხარჯები	25
7 შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ისტორიული საწყისები	27
8 საწარმოო უბედური შემთხვევის დაზღვევის არსი	31
9 დასაქმებულთა დაზღვევა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში.....	34
9.1 იტალია	36
9.2 ავსტრია.....	37
9.3 საფრანგეთი.....	38
9.4 გერმანია	39
9.5 გაერთიანებული სამეფო	40
9.6 შვეიცარია	41
9.7 ფინეთი.....	42
10 დასაქმებულთა დაზღვევა აზიაში	43

11 დასაქმებულთა დაზღვევა ამერიკაში.....	46
12 სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	48
14. საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა.....	51
15. დასკვნა.....	57
ბიბლიოგრაფია.....	60

1. შესავალი

ყოველწლიურად მსოფლიოში, მძიმე სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, მილიონობით ადამიანი ავადდება და ზიანდება. ზოგჯერ ეს დაზიანებები ფატალურად, სასიკვდილო შედეგით სრულდება. დასაქმებულთა დაზღვევის საჭიროება და აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მათი ყოველდღიური საქმიანობა მრავალ საფრთხესთან არის დაკავშირებული. სამსახურში მომხდარი უბედური შემთხვევები მძიმე შედეგის მომტანია, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. დასაქმებულთა დაზღვევის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს დაზარალებულის კომპენსაცია ინვალიდობის ან შრომისუუნარობის შემთხვევაში. უბედური შემთხვევისგან დასაქმებულთა სავალდებულო დაზღვევა, თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელებულია. ქვეყნები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ როგორ ქმნიან მუშათა კომპენსაციის დაფინანსების სისტემებს, რა მექანიზმებს იყენებენ და როგორ ანაწილებენ ხარჯებს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოსთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად დასაქმებულთა უფლებები და შრომის პირობებია, თემა აქტუალურია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევა ჩვენს ქვეყანაში ახალი ინსტიტუტია. ჯერჯერობით იგი საკანონმდებლო დონეზე არ არის საკმარისად გამართული.

კვლევა განხორციელდა შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ნაშრომი შედგება შესავლის, ცამეტი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომში განხილულია უბედური შემთხვევის დაზღვევისა და დასაქმებულთა კომპენსაციის ისტორიული საწყისები, უბედური შემთხვევის დაზღვევის არსი, დასაქმებულთა შრომითი პირობების პრობლემები, ასევე წარმოდგენილია საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებული მოდელები, რომლებიც ეხება უბედური შემთხვევის შედეგად დასაქმებულთა კომპენსაციას.

კვლევის მიზანია უკეთ წარმოაჩინოს უბედური შემთხვევის დაზღვევის არსი, ფუნქცია და მნიშვნელობა. ასევე გაანალიზდეს, საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და გამოიყოს ის საკითხები, რომელთა

დამუშავება მნიშვნელოვანი და აუცილებელია კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

2. უბედური შემთხვევის დაზღვევის წარმოშობის და განვითარების ისტორიული საფუძვლები.

უბედური შემთხვევის დაზღვევა ჯერ კიდევ საწყის იღებს ვიზბის უძველეს ზღვის სამართალში, რომელიც 1541 წლითაა დათარიღებული, ვიზბის ზღვის სამართალში ნახსენებია გემის მეპატრონეების პრაქტიკა დაეზღვიათ გემის კაპიტნების სიცოცხლე ზღვიდან გამონვეული უბედური შემთხვევებისგან. მიჩნეულია, რომ კანონის ეს ტექსტი არ არის თავდაპირველი ვიზბის კოდექსის ნაწილი, ასე, რომ ყოფილიყო უფრო ადრინდელი თარიღით იქნებოდა შეტანილი. თუმცა აღიარებულია, რომ დასახელებული თარიღი შეცვლილი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე ეს არის სრულიად პირველი დათქმა, რომელიც ჩნდება კანონის ტექსტში უბედური შემთხვევის დაზღვევის გამო.¹

უბედური შემთხვევის დაზღვევა აქტუალური გახდა მე-19 საუკუნიდან. უბედური შემთხვევის დაზღვევის წარმოშობაზე გავლენა იქონია მრეწველობის განვითარებამ. საწარმოებში არ არსებობდა შრომის უსაფრთხოების აუცილებელი პირობები, ამიტომ ხშირად საწარმოო ზიანი ადგებოდათ დასაქმებულებს.

უბედური შემთხვევის დაზღვევის ბიზნესი, ინგლისში სათავეს 1845, ხოლო ამერიკაში 1850 წლიდან იღებს.² ყველაზე აქტუალური ის 1860 წელს გახდა და ძირითადად ფარავდა რკინიგზასთან დაკავშირებულ რისკებს.³ ორთქლმავალი სარკინიგზო სისტემების გაფართოებას, მრავალი სერიოზული უბედური შემთხვევა მოჰყვა, რის შედეგადაც შეიქმნა დაზღვევის ახალი სახეობა, რომელიც ფარავდა რკინიგზაზე მომხდარ უბედურ შემთხვევებს.⁴ პირველი კომპანია, რომელმაც უბედური შემთხვევის დაზღვევის შეთავაზება გააკეთა, იყო „რკინიგზის მგზავრთა დაზღვევის კომპანია“, რომელიც დაფუძნდა 1849 წელს

¹McNell, A Study of Accidents and accident insurance, 7.

²E. McNEILL, A Study of Accidents and accident insurance, Boston 1900, 7.

³H. Robert, R Douglas, understanding insurance law, Florida 2012, 18.

⁴H.j. Hastings, The history and development of personal accident and sickness insurance. London 1922. 2

ლონდონში, როგორც კომპანიის სახელიდან გამომდინარეობს, ამ ტიპის სადაზღვევო შემოთავაზება გამოყენებულ იქნა ახალი სარკინიგზო მატარებლით მოგზაურობის დროს, რომელიც იმ დროისთვის ძალიან „საშიში თავგადასავლად“ ითვლებოდა. სადაზღვევო დაფარვა შემდგომ თანდათანობით გაფართოვდა და თითქმის ყველა შემთხვევითი დაზიანებები მოიცვა.⁵

ჰართფორდის მოგზაურთა დაზღვევა დარეგისტრირდა 1863 წელს და ეს შეიძლება ჩაითვალოს უბედური შემთხვევის დაზღვევის დასაწყისად. ინგლისური კომპანიების უპირატესობა იყო ის, რომ მათ დაზღვეული ყავდათ სარკინიგზო მგზავრობა, თუმცა მათ ყველა სახის უბედური შემთხვევა არ ყოფილა იქამდე დაზღვეული.⁶

ამერიკაში პირველი უბედური შემთხვევის დაზღვევა მოხდა 2 ცენტად. 1864 წლის დასაწყისში სანამ ლინკონი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო, ჯეიმს ბატერსონმა სიტყვიერად დააზღვია ჯეიმს ბოლტერი 5000 დოლარად, იმ შემთხვევაში თუ ბოლტერი სამსახურიდან სახლამდე მიმავალ გზაზე უბედური შემთხვევით გარდაიცვლებოდა. შეთანხმების საფასური იყო ორი ცენტი.⁷ შემდგომში სწორედ ამ პატარა დასაწყისიდან დაიწყო უბედური შემთხვევის დაზღვევის ბიზნესმა ზრდა სხვადასხვა განმტოებებით და მნიშვნელობით.

ნიდარლანდების რესპუბლიკამ, საკუთარი ქვეყნისთვის სამსახურეობრივი მოღვაწეობისთვის 1865 წელს დააზღვია ჯარისკაცები. დაზღვევა ხდებოდა ერთი ან ორივე თვალის, ხელის ან ფეხის დაკარგვისთვის.

გერმანიის მთავრობამ საწარმოო კომპანიებისთვის 1884 წელს წარადგინა უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევა. ეს სადაზღვევო სქემა ბისამარკის ცნობილი სოციალური დაზღვევის სისტემის ერთ-ერთი მთავარი სვეტი იყო. უბედური შემთხვევის დაზღვევის სისტემამ თავის მიზანს მიაღწია: ის წარმატებით უნაზღაურებდა მუშებს უბედური შემთხვევით გამოწვეულ ზიანს. უბედური შემთხვევის დაზღვევის სისტემა ნაკლებად წარმატებული იყო

⁵A.P. Woodward, The Disability insurance policy, 1971, 227

⁶ Lott. S. Edsons, Accident insurance, 1905, 2.

⁷Lott. Accident insurance, 3.

სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების ზრდის შემცირებაში, თუმცა სწორედ ეს ფაქტი იყო აღნიშნული სისტემის ჩამოყალიბების მიზმი.⁸

მას შემდეგ რაც ევროპის უმეტეს ქვეყნებში მიიღეს კანონი, საწარმოო უბედურ შემთხვევებზე დამსაქმებლების ანუ მენარმეების სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ, ბევრმა სადაზღვევო კომპანიამ დაიწყო მომხმარებლებისათვის უბედური შემთხვევის დაზღვევის სხვადასხვა პროდუქტის შეთავაზება. ამ მხრივ განსაკუთრებით განვითარდა დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ერთობლივი შენატანების მეშვეობით კოლექტიური ჯგუფობრივი დაზღვევა.

3. უბედური შემთხვევის დაზღვევის არსი და მიზნები

გამანადგურებელი ძალის მქონდე ბუნების სტიქიურ მოვლენებს კაცობრიობა უხსოვარი დროიდან ებრძვის. ამ ბრძოლის შედეგად ადამიანებმა შექმნეს სხვადასხვა გაერთიანებები, რომელთა მონაწილენი განსაზღვრული რაოდენობის შენატანის საშუალებით უზრუნველყოფდნენ თავიანთი ჯგუფის წევრებს უბედური შემთხვევისა თუ სტიქიური მოვლენების შედეგებისგან. ადამიანთა ძალისხმევით შექმნილ ასეთ სოლიდარულ გაერთიანებას, რომელიც მიმართულია უბედურ შემთხვევათა შემსუბუქებისაკენ, დაზღვევა ეწოდება. დაზღვევის შინაარსი ის არის, რომ გაერთიანების წევრებს შეაქვთ საერთო ორგანიზაციაში შენატანები (ფულადი თანხა) ხოლო უბედური შემთხვევის დროს ორგანიზაცია აძლევს დაზარალებულს განსაზღვრულ „ჯილდოს“.⁹

უბედური შემთხვევის დაზღვევა, პირადი დაზღვევის ერთ-ერთი სახეობაა. პირადი დაზღვევა დაზღვევის დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენს, სადაც დაზღვევის ობიექტის რანგში გამოდის ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და პრომისუნარიანობა. პირადი დაზღვევა იყოფა სიცოცხლის დაზღვევად და უბედური შემთხვევისაგან დაზღვევად.¹⁰

ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობა მრავალ საფრთხესთან არის დაკავშირებული. ასეთი საფრთხე შეიძლება უბედური შემთხვევით იყოს

⁸T. Guinnane, J Streb, Incentives that Saved Lives: Government Regulation of Accident Insurance Associations in Germany, 1884–1914, 2012, 3.

⁹შათირიშვილი, კაკაშვილი, სადაზღვევო საქმე, 127.

¹⁰ჯ. შათირიშვილი, ნ. კაკაშვილი, სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2012, 110.

გამონწვეული, რამაც შესაძლოა ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა იმსხვერპლოს. ნებისმიერი ადამიანისთვის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ყველაზე ღირებული და ფასდაუდებელია. ყველამ ვიცით, უბედური შემთხვევის წინასწარ განჭვრეტა თითქმის შეუძლებელია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ავარიას, ხანძარს და ა.შ. ცხადია, სადაზღვევო სერვისი არ არის შექმნილი მშვიდობიანი სიტუაციებისთვის და სამწუხაროდ არავის შეგვიძლია ზუსტად ვიცოდეთ, რას უნდა ველოდოთ მომავალში.¹¹ უბედური შემთხვევის დაზღვევა არის ერთგვარი ფინანსური პროდუქტი, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ უბედურ შემთხვევას მოჰყვება კონკრეტული სახის ზიანი.

უპირველესად, საჭიროა უბედური შემთხვევის ტერმინის არსის დაზუსტება. ტერმინის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის გათვალისწინებით ყველა სადაზღვევო შემთხვევა უბედური შემთხვევაა, რადგან შედეგად ზიანი დგება. ასეთი ლოგიკით, უბედური შემთხვევის დაზღვევის ცნებაში დაზღვევის ყველა სახე შეიძლება გაერთიანდეს. მაგალითად, თეორიულად უბედური შემთხვევის შედეგად შეიძლება ქონებაც დაზიანდეს. თუმცა ასეთი მსჯელობა საფუძველს მოკლებულია ინსტიტუტის სისტემური მოწესრიგების გათვალისწინებით. ქონების დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმები მკვეთრად ემიჯნება პირადი დაზღვევის მარეგულირებელ ნორმებს. უბედური შემთხვევის დაზღვევა კი, პირადი დაზღვევის სახეებს მიეკუთვნება.¹²

სადაზღვევო სფეროში უბედური შემთხვევა გულისხმობს მოულოდნელ, გარეგან, გაუთვალისწინებელ ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, რომლის შედეგად ვითარდება დაზღვეულის ჯანმრთელობის დროებითი და მუდმივი დაზიანება, ინვალიდობა ან გარდაცვალება.¹³

უბედური შემთხვევისგან დაზღვევა პირადი დაზღვევის ყველაზე ტრადიციული სახეობაა. ამ ტიპის დაზღვევის ძირითადი მიზანი არის უბედური შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანებაზე და სიცოცხლეზე მიყენებული ზარალის ანაზღაურება. უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის ამოცანა არის უბედური შემთხვევების შედეგად დაზღვეული პირების შემოსავლების დანაკარგის

¹¹ჯ. შათირიშვილი, ნ. კაკაშვილი, სადაზღვევო საქმე, 127.

¹²საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 854.

¹³თ. ვერულავა, სადაზღვევო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2017,70.

კომპენსაცია და ცხოვრების დონის დაქვეითებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირება. დაზღვევის არსი მდგომარეობს მიყენებული ზარალის დროსა და სივრცეში განაწილებაში და მონაწილეთა ხარჯზე მის კომპენსირებაში. მისი დანიშნულებაა შემთხვევითი უბედურებისგან ადამიანებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება სადაზღვევო დაცვის სისტემის საშუალებით.

უმეტესად უბედური შემთხვევები მძიმე გართულებების გარეშე მიმდინარეობს, მაგრამ არც ისე იშვიათად, უბედური შემთხვევის დროს ჯანმრთელობის დაზიანება იმდენად დიდია, რომ დაზარალებულმა გარკვეულ პერიოდში ან შესაძლოა სამუდამოდაც სრულიად ან ნაწილობრივ დაკარგოს პროფესიული საქმიანობის განხორციელების უნარი.¹⁴

უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის მიზანია ადამიანის უზრუნველყოფა გარდაცვალებისა და უბედური შემთხვევის გამო, შრომის უნარის დაკარგვის დროს. უბედური შემთხვევა შეიძლება მოხდეს სამუშაოზე, სახლში ან სხვაგან. უპირველეს ყოვლისა, ის შეიძლება მოხდეს ბუნების ძალთა ზეგავლენისაგან, წყალდიდობისაგან, ხანძირასაგან და ასე შემდეგ.¹⁵ უბედური შემთხვევის დაზღვევა შეიძლება იყოს: ინდივიდუალური, როდესაც თავს იზღვევს ცალკე პიროვნება, ჯგუფური, როდესაც საწარმო, დაწესებულება და ა. შ. აზღვევს თანამშრომელთა ჯგუფს. კოლექტიური, როდესაც საწარმო აზღვევს თავის მუშა-მოსამსახურეს ან რომელიმე განყოფილების ყველა წევრს.

3.1. უბედური შემთხვევის დაზღვევის გამიჯვნა ჯანმრთელობის დაზღვევისგან

დაზღვევის ობიექტის გათვალისწინებით, ისე, როგორც უბედური შემთხვევის დაზღვევა ჯანმრთელობის დაზღვევაც პირადი დაზღვევის სახეს მიეკუთვნება. შესაბამისად აღნიშნული ხელშეკრულების მიმართ ვრცელდება პირადი დაზღვევის მარეგულირებელი ნორმები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების არსის განსაზღვრისას მხოლოდ პირადი დაზღვევის პრინციპების გამოყენება არ არის საკამრისი.¹⁶

¹⁴ვერულავა, სადაზღვევო საქმის საფუძვლები.70.

¹⁵ შათირიშვილი, კაკაშვილი, სადაზღვევო საქმე. 127.

¹⁶ქ. ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში. თბილისი, 2016, გვ. 123.

ჯანმრთელობის დაზღვევის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა. უბედური შემთხვევის დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს პირის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა.¹⁷ განსხვავებით უბედური შემთხვევის დაზღვევისგან, ჯანმრთელობის დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცალკე არ გვხვდება. ქართულ სადაზღვევო პრაქტიკაში კი აღნიშნული სახის დაზღვევას დიდი გამოყენება აქვს, ასეთ გაზრდილ მოთხოვნას თავად დაზღვევის ობიექტის თავისებურება განაპირობებს.¹⁸

აშშ-ის დაზღვევის დოქტრინაში მსგავსების მიუხედავად ერთმანეთისგან მიჯნავენ ჯანმრთელობის დაზღვევისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის ობიექტებს. კერძოდ, უბედური შემთხვევის დაზღვევა ვრცელდება, უბედური შემთხვევით გამონვეული ჯანმრთელობის დაზიანების მკურნალობაზე. ჯანმრთელობის სტანდარტული პოლისი კი ფარავს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას სამკურნალოდ საჭირო ხარჯებს. ფაქტობრივად, მოყვანილი კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმი სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევ მიზეზს უკავშირდება. ორივე შემთხვევაში მზღვევლი დაზღვეულის მკურნალობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს.¹⁹ საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჯანმრთელობის დაზღვევა საკამოდ მოთხოვნადია, იქიდან გამომდინარე, რომ სამედიცინო მომსახურეობა ქვეყანაში არც თუ ისე მცირე თანხებთან არის დაკავშირებული, ადამიანები ხშირად ამჯობინებენ დაზღვევით სარგებლობას, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს სამედიცინო ხარჯების ანაზრაურება. უბედური შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი შეიძლება მიუღებელი სარგებლის სახითაც გამოიხატოს. მაგალითად, აშშ-ის სადაზღვევო პრაქტიკაში მსგავსი შინაარსის სადაზღვევო დაფარვა შრომისუუნარობის დაზღვევის პოლისებშია გათვალისწინებული.

¹⁷მ.ცისკაძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბილისი, 2001, 176.

¹⁸ქ. ირემაშვილი. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში. 123.

¹⁹J. Richmond, understanding insurance law, 2007, 43.

4. უბედური შემთხვევის დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 854-858 მუხლებით გათვალისწინებულია უბედური შემთხვევის დაზღვევა. უბედური შემთხვევის მომწესრიგებელი ნორმების ცალკე გამოყოფით კანონმდებლის მიზანი უბედური შემთხვევისგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვით გამოიხატება.²⁰ სსკ-ის 854-ე მუხლი უბედური შემთხვევის დაზღვევას აწესრიგებს. აღსანიშნავია, რომ ნორმა არ აკონკრეტებს დაზღვევის ობიექტს და მიუთითებს მხოლოდ უბედური შემთხვევებზე, როგორც სადაზღვევო შემთხვევის სპეციალურ სახეზე.²¹ სსკ-ის 854 I ნაწილის მიხედვით უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც დამზღვევის, ისე სხვა პირის უბედური შემთხვევისათვის. აღნიშნული ნაწილით უბედური შემთხვევის დაზღვევის მოსარგებლეა განსაზღვრული. სსკ-ის 854 II – ის მიხედვით, თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია არა დაზღვეული პირის მიერ, მაგრამ მის სასარგებლოდ, მაშინ მასზე ვრცელდება წესები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ. სსკ-ის 855-ე მუხლით განსაზღვრულია ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შედეგები. თუ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მზღვევლის გათავისუფლება სადაზღვევო საზღაურის გაცემის მოვალეობისგან იმ შემთხვევაში, როცა დამზღვევის ან სხვა პირის ჯანმრთელობას ზიანი განზრახ მიადგება, მაშინ სანამ სადაზღვევო კომპანია არ დაამტკიცებს ასეთ განზრახვას, იქამდე ივარაუდება, რომ ჯანმრთელობის დაზიანება განზრაც არ ყოფილა გამოწვეული.²² განსახილველი ნორმა მნიშვნელოვან და სიანტერესო დანაწესს შეიცავს სადაზღვევო შემთხვევების განზრახ გამოწვევის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. კერძოდ, ნორმა დამზღვევის მოთხოვნის დამატებით წინაპირობასთან ერთად, მტკიცების ტვირთის ადრესატსაც განსაზღვრავს.²³ სსკ-ის 856-ე მუხლით გათვალისწინებულია უბედური შემთხვევის განზრახ გამოწვევის შედეგები. სსკ-ის 856 I ნაწილის მიხედვით

²⁰მ. ცისკაძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, მუხ 844, 176.

²¹ირემაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge 16.03.2016 მუხლი 854, ველი 1.

²²ცისკაძე, სსკ-ის კომენტარი, წიგნი IV. ტ. II, მუხ. 854, 177.

²³ირემაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge 16.03.2016, მუხლი 855, ველი 3.

მზღვეველი თავისი მოვალეობის შესრულებისგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში თუ სხვა პირის დაზღვევისას სარგებლის მიმღები უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვევს უბედურ შემთხვევას. სსკ-ის 856 II ნაწილის მიხედვით კი თუ სხვა პირს აქვს სარგებლის მიღების უფლება, მას ეს უფლება ჩამოერთმევა მაშინ თუ იგი უბედურ შემთხვევას გამოიწვევს განზრახ უკანონო მოქმედებით. სსკ-ის 857- ე მუხლი ეხება უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას. ერთი მხრივ, ნორმა იცავს მზღვეველის ინტერესს, დროულად მიიღოს ინფორმაცია სადაზღვევო რისკის განხორციელების შესახებ. აღნიშნული საშუალებას აძლევს მზღვეველს დროულად და ადეკვატურად დაგეგმოს შემდგომი ნაბიჯები. მეორე მხრივ ნორმა იცავს დამზღვევის ინტერესსაც, რაც დროული შეტყობინების შედეგად ანაზღაურების ვალდებულების შეუფერხებლად შესრულებით გამოიხატება.²⁴ სსკ-ის 858-ე მუხლი რეგრესის უფლების დაუშვებლობას ეხება, კერძოდ დამზღვევს არ აქვს რეგრესის უფლება იმპირის მიმართ, რომელიც პასუხს აგებს ზიანისთვის.

უბედური შემთხვევის შესახებ დაზღვევის მუხლს შრომითი უსაფრთხოების კანონიც ითვალისწინებს. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით, დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, მუშაობის პერიოდში დასაქმებული უზრუნველყოს უბედური შემთხვევის დაზღვევით. მოცემული მუხლი ძალაში 2019 წლის პირველი იანვრიდან შევიდა. აღნიშნული მუხლის ძალაში შესვლა, შესაძლოა, რომ ბუნდოვნად ჩაითვალოს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ კანონი ავალდებულებს დამსაქმებელს საკუთარი თანამშრომელის დაზღვევას, ის არ განსაზღვრავს სადაზღვევო თანხის კონკრეტულ ლიმიტებს და სტანდარტებს. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე ვიცით რა პირობები უნდა აისახოს კანონმდებლობაში. საჭიროა ლიმიტების და სტანდარტების შემოღება, რაც კანონის დამატებებში უნდა გაიწეროს. აუცილებელია მოხდეს განამრტება, რა არის ეს დაზღვევა, რომ დაიცვას შესაძლო მსხვერპლი. იმ შემთხვევაში თუ არ იქნება განსაზღვრული ლიმიტები, თუ რა პროდუქტია საჭირო, შესაძლოა მოხდეს იაფიანი დაცვის პროდუქტის შექმნა და უბედური შემთხვევის დადგომის დროს ის არ ეყოს კომპენსაციას.

²⁴ირემაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge 16.03.2016 მუხლი, 857,ველი 1.

კანონით აღნიშნული მუხლის დამატების მთელი მიზანი ის არის, რომ დაზარალებულმა უბედური შემთხვევის დადგომის შემთხვევაში სრაფად და ოპერატიულად მიიღოს კომპენსაცია. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და სადაზღვევო ტარიფი იქნება დაბალი, დაზარალებულმა შესაძლოა მიიღოს პირობითად 200-300 ლარის კომპენსაცია, რაც უნდა ჩავთვალოთ, რომ ვერ ამართლებს მოცემული მუხლის არსებობის მიზანს.

საერთო ჭრილში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობით უბედური შემთხვევის დაზღვევის შესახებ მუხლები არ არის ამომწურავი და საკმაოდ მწირია და საჭიროა მეტი კონკრეტიზაცია.

5. უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება.

სადაზღვევო ურთიერთობების წარმოქმნის საფუძელს წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულება. უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება, ორმხრივად მავალდებულებელი და სასყიდლიანი გარიგებაა. ისევე, როგორც სხვა დაზღვევის ხელშეკრულებებში, უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განმსაზღვრელი ელემენტებია, რისკის გადაცემა და ზიანის ანაზღაურების დაპირება. უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების დადება შესაძლოა ატარებდეს, როგორც ნებაყოფლობით, ასევე სავალდებულო ხასიათს. ოღონდ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხელშეკრულების დადება არის დაზღვევის მოვალეობა და ამ ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს დაზღვევისთვის რიგ არასასიამოვნო შედეგებს. შეთანხმების თანახმად დაზღვევი იხდის სადაზღვევო პრემიას განსაზღვრულ ვადაში, ხოლო სადაზღვევო ორგანიზაცია ვალდებულია იღებს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაუროს დაზღვეულს ზარალი. ეს შეთანხმება ფორმდება წერილობით სახით და გაიცემა სადაზღვევო პოლისი, რაც წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების დადების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტს.²⁵

²⁵თ. ვერულავა, სადაზღვევო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2017 წ, 34.

5.1 დაზღვევის ინტერესი

სადაზღვევო ვალდებულების განსაზღვრის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სადაზღვევო ინტერესი. სადაზღვევო ინტერესი, სადაზღვევო სამართლის ფუნდამენტალური პრინციპია, რადგან იგი განაპირობებს თავად დაზღვევის არსებობის შესაძლებლობას, გამომდინარე, იქიდან, რომ დაზღვევის უმთავრესი პრინციპია - „ინტერესის გარეშე არ არსებობს დაზღვევა.“ მეორე მხრივ, სადაზღვევო ინტერესი განსაზღვრავს სადაზღვევო ვალდებულების ყველა უმთავრეს ელემენტებს: დაზღვევის ობიექტს, დაზღვევის სუბიექტს, დაზღვევის შინაარსს და განხორციელებას, სადაზღვევო პირობების დარღვევისას მხარეთა პასუხისმგებლობებს.²⁶

სადაზღვევო ინტერესი ის სამართლებრივი ინტერესია, რომელიც დაზღვევს გააჩნია დაზღვევის ობიექტის მიმართ.²⁷ ქართული იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა სადაზღვევო ინტერესის ტერმინს არ იცნობს, ერთი მხრივ, „დაზღვევის ობიექტს განიხილავენ, როგორც დაზღვევის ინტერესს, რომლის განსაზღვრაც აუცილებელია დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად.“²⁸ სადაზღვევო ინტერესი მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს დაზღვევის ობიექტისგან. სადაზღვევო ინტერესი არ გულისხმობს მხოლოდ უფლებას დაზღვევის ობიექტზე ან მის ნაწილზე. სადაზღვევო ინტერესი მჭიდრო კავშირს გამოხატავს დაზღვევასა და დაზღვეულის ობიექტს შორის. დაზღვევის ობიექტის ღირებულება გამოხატულებას ფულად ერთეულში პოულობს. სადაზღვევო ინტერესის ღირებულება კი შეიძლება ბევრად აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის ღირებულებას, რადგან სადაზღვევო ინტერესი მატერიალური და მორალური ინტერესების ერთობლიობაა.²⁹ სადაზღვევო ინტერესის არსებობა ნიშნავს, რომ დაზღვეული დაზღვევის ობიექტის დაზიანების, განადგურების, დაკარგვის შემთხვევაში მიიღებს ანაზღაურებას³⁰.

²⁶ვერულავა, სადაზღვევო საქმის საფუძვლები, 29.

²⁷Garner B. (ed.), Black's Law Dictionary, 8th ed, Thomson West, 2004, 829. - მით: ქ. ირემაშვილი, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი, სამართლის ჟურნალი, N2, 2013, 58.

²⁸მ. ცისკაძე. ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001 წ. 8.

²⁹ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 2016 წ. მუხლი 799, www.gccc.ge

³⁰ვერულავა, სადაზღვევო საქმის საფუძვლები, გვ 29.

უბედური შემთხვევის დაზღვევისას, სადაზღვევო ინტერესი გამოიხატება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის მიღების გარანტიით. ადამიანებს აქვთ სადაზღვევო ინტერესი საკუთარი თავისადმი, რადგან უბედური შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, მათ სიცოცხელს შესაძლოა საფრთხე შეექმნას, სხეული დაუზიანდეს ან სხვაგვარად დაზარალდეს. სადაზღვევო ინტერესის არარსებობის პირობებში მიიჩნევა, რომ დაზღვევი არ განიცდის ზიანს. შესაბამისად, ზიანის არარსებობის ელემენტი გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.³¹

სადაზღვევო ინტერესი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ხელშეკრულების დადების, ისე სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობად. სადაზღვევო ინტერესის მიზნის გათვალისწინებით, ხელშეკრულების დადების ეტაპზე მისი არარსებობა ხელშეკრულების ნამდვილობის შემათვერხებელ გარემოებად უნდა იქნეს განხილული.³²

პრობლემურია სადაზღვევო ინტერესის არსებობის დადგენა შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში. ასეთ დროს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი. უპირველესად უნდა განისაზღვროს, რა ტიპის ურთიერთობა არსებობს ურთიერთობა არსებობს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. რამდენად მჭიდრო და ინტენსიურია ეს ურთიერთობა. მსხვილ კომპანიებში, დაქირავებულთა მრავალრიცხოვნების გათვალისწინებით, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული ურთიერთობები დისტანცირებას განიცდის და სადაზღვევო ინტერესის არსებობაც სათუო ხდება. ამასთან შეუძლებელია დამსაქმებელს ყველა დასაქმებულის მიმართ ერთნაირი ინტერესი გააჩნდეს. მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ცალკეული დასაქმებული კომპანიაში მისი პოზიციის გათვალისწინებით.³³

როგორც წესი, დამსაქმებელს აქვს ინტერესი დასაქმებულის მიმართ და პირიქით, ასეთ შემთხვევებისთვის სადაზღვევო ინტერესის ღირებულება განისაზღვრება შრომის ხელშეკრულების პირობების მიხედვით. თუმცა, მხოლოდ

³¹Jerry R, Richmond D, 278. მით: დ. ძაგნიძე, დაზღვევის ინტერესი საზღვაო და დაზღვევის ხელშეკრულებაში, 52

³²ქ. ირემაშვილი. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში. თბილისი 2016. 87

³³M.Rothstein, C Craver, E Schroeder , W Shoben , Employment Law, Third Edition, Thomson West, 2004, 1.

ხელშეკრულების პირობებით ხელმძღვანელობა ყოველთვის არ არის საკამრისი. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც დასაქმებულის გარდაცვალებით კომპანია დიდ ფინანსულ ზიანს განიცდის. გარკვეულ შემთხვევებში სადაზღვევო თანხის მხოლოდ დასაქმებულის ანაზღაურების მიხედვით განსაზღვრა არაგონივრულია.³⁴

5.2 სადაზღვევო შემთხვევა და სადაზღვევო გამონაკლისები

სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს.³⁵ მხარეები სადაზღვევო შემთხვევას არსებითი პირობის სახით წინასწარ განსაზღვრავენ ხელშეკრულებაში.³⁶ უბედური შემთხვევის დროს სადაზღვევო შემთხვევას შეიძლება წარმოადგენდეს დაზღვეულის გარდაცვალება, ან დაკარგულად გამოცხადება ან მუდმივი სრული ან მუდმივი ნაწილობრივი შრომისუუნარობა. აღიშნული სადაზღვევო შემთხვევა დგება, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს, „რამდენად ინარჩუნებს სადაზღვევო შემთხვევა დამოუკიდებლობას თავად დაზღვეულის ნებისგან“, ³⁷ საგულისხმოა, რომ ეს მოთხოვნა ხელშეკრულების ორივე მხარის მიმართ ვრცელდება: სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობა არ უნდა ექცეოდეს მხარეთა გავლენის სფეროში.

უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებაში შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს, გარკვეული გამონაკლისები, როდესაც სამუშაო პირობებში, დამდგარი მოვლენა არ ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად, თუ დაზღვეულის გარდაცვალება, ან დაკარგულად გამოცხადება ან მუდმივი სრული ან მუდმივი ნაწილობრივი და დროებითი შრომისუუნარობა გამოწვეულია რომელიმე მიზეზით: დაზღვეულის განზრახვა, უხეში გაუფროთხილებლობა ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება; დაზღვეულის მიერ დანადგარის,

³⁴J Lowry , Rawlings P, 46-47, მით : ქ. ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანათვარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში. 100.

³⁵საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 5 მარტის N 3კ-310-03 განჩინება.

³⁶ქ.ირემაშვილი.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ, მუხლი 799, www.gccc.ge

³⁷საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის N ას-755-811-2011 განჩინება.

აღჭურვილობის ან მასალის უნებართვოდ, არადანაშაულებით ან ნორმატივების დაუცველად გამოყენება, დაზღვეულის ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ტოქსიკური, ფსიქოტროპული, ფსიქოაქტიური ან მათი ანალოგის ნივთიერებით თრობა, დაზღვეულის სულიერი ან ფსიქიკური დარღვევის შედეგად დამდგარი უბედური შემთხვევა. საერთო დაავადება ან დაზიანება, რომელიც არ არის შრომითი დასახიჩრება და ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3 სადაზღვევო რისკი

დაზღვევის ხელშეკრულებაში ასევე მნიშვნელოვანია არსებითი პირობის სახით სადაზღვევო რისკის განსაზღვრა.³⁸ მაგალითად: თუ დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო შემთხვევად ხანძარი განისაზღვრა, ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მწყობრიდან გამოსვლა.³⁹ თავისთავად, რისკი შეიძლება იყოს წინასწარ განჭვრეტადი, მაგრამ მისი რეალიზაციის ალბათობა უნდა იყოს განუჭვრეტელი და თავისუფალი მხარეთა გავლენისგან. არსებობს რისკების კლასიფიკაციის მრავალფეროვნება, რაც განპირობებულია რისკებისთვის დამახასიათებელი ნიშნებით და სხვადასხვა მიდიგომებით, რომლებიც გამოიყენება მათ დასაჯგუფებლად. რისკების არასასურველი და ნეგატიური ხასიათის გამო კომპანიას შეუძლია და მოვალეა განახორციელოს რისკების მართვასთან დაკავშირებული ადეკვატური ქმედებები, როგორცაა: რისკების შემცირება და თავიდან აცილება, რისკების დაზღვევა და თვითდაზღვევა.⁴⁰ რისკი - ესაა საფრთხის, მიყენებული ზიანის და ამ ზიანის სიდიდის შესაძლებლობების ერთობლიობა, რისკი წარმოაგენს საფრთხის საზომს.⁴¹ რისკების მართვა დღითიდღე უფრო და უფრო აქტუალური ხდება, ვინაიდან საგრძნობლად

³⁸საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 აპრილის N ას-4-381-05 განჩინება

³⁹იხ. ირემაშვილი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ, მუხლი 799, www.gccc.ge

⁴⁰ შათირიშვილი, კაკაშვილი, სადაზღვევო საქმე, 69.

⁴¹მ. მურტონენი. რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე . (პრაქტიკული სახელმძღვანელო)პირველი გამოცემა,ფინეთის გამოცდილება, 2015 წ, 6.

გახშირდა სანარმოო-ყოფითი მოვლენები, როგორცაა სანარმოში მომხდარი უბედური შემთხვევები.

სამეურნეო სუბიექტები თავიანთ საქმიანობაში, სანარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, არც თუ იშვიათად, მიმართავენ რისკების დაზღვევას ამ საქმიანობით დაკავშირებულ ორგანიზაციებთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.⁴²

ამრიგად, რისკების შეფასება საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ისეთი საფრთხეები, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული სამუშაოსთვის, მანამდე, სანამ, ისინი გამოიწვევენ უბედურ შემთხვევებს, ან ზიანს მიაყენებენ მომუშავეს. რისკების შეფასებას წარმოადგენს სისტემურ უწყვეტ პროცესს. ის ხორციელდება ეტაპობრივად, ადრე გამოვლენილი საფრთხეების გათვალისწინებით. რისკების შეფასების საფუძველს წარმოადგენს ამ საფრთხეების გამოვლენა, რომელიც წარმოიშვება სამუშაოს პროცესის დროს.⁴³ ხშირ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიები ატარებენ საკუთარ გამოძიებას, რათა დარწმუნდნენ, რომ ზიანი (ზარალი) გამოწვეულია უბედური შემთხვევით და არ იყო სტიმულირებული დაზარალებულის წინასწარ დაგეგმილი ქმედებით.⁴⁴

5.4 დამზღვევის ვალდებულება

სადაზღვევო ხელშეკრულების ორივე მხარე, მზღვევლი და დამზღვევი - ფლობენ უფლებებსა და ვალდებულებებს, ამიტომ ერთი მხარის ვალდებულება განსაზღვრავს, მეორე მხარის უფლებას, მოითხოვოს შესაბამისი ვალდებულების შესრულება.⁴⁵ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების დადებიდან, ასევე მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამზღვევი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოების შესახებ, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს საფრთხის, ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისთვის. ხელშეკრულებისა და სადაზღვევო პოლისის თანახმად სრულიად და დროულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია. უბედური შემთხვევის დადგომის

⁴²შათირიშვილი, კაკაშვილი, სადაზღვეო საქმე, 71.

⁴³მ. მურტონენი, რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე, 7.

⁴⁴შათირიშვილი, კაკაშვილი, სადაზღვეო საქმე, 75.

⁴⁵შათირიშვილი, კაკაშვილი, სადაზღვეო საქმე, 313.

შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში, სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით აცნობოს მზღვეველს მომხდარი ფაქტის შესახებ და მიანოდოს შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია. დამზღვევი ასევე ვალდებულია გაატაროს რისკისა და ზარალის შემცირებისათვის აუცილებელი ღონისძიებები. ეს ვალდებულებები მოიცავს: სადაზღვევო ხელშეკრულების დადებამდე, ხელშეკრულების დადებისთვის აუცილებელი სადაზღვევო ორგანიზაციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულებას. სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში: რისკის, ზარალის თავიდან აცილებისთვის აუცილებელი სადაზღვევო ორგანიზაციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულებას. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ზარალის თავიდან აცილებისათვის ან მისი სიდიდის შემცირებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების ვალდებულებას.⁴⁶

დამზღვევის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობა, თუ ამან გავლენა მოახდინა ზარალის დადგომამზე, სიდიდემ ან შემთხვევის გარემოებათა შესწავლაზე შეიძლება გახდეს სადაზღვევო ორგანიზაციის მხრიდან ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. დამზღვევის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს დამზღვევის უფლების დაკარგვას სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნაზე ან წარმოშობს სადაზღვევო ორგანიზაციის უფლებას სადაზღვევო ხელშეკრულების მოშლაზე.

5.5 მზღვეველის პასუხისმგებლობის ფარგლები

სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლში მოცემულია დაზღვევის ხელშეკრულების ცნება. ამ მუხლის თანახმად დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. სადაზღვევო ორგანიზაციის ძირითადი ვალდებულებებია: გააცნოს დამზღვევს დაზღვევის პროგრამა, სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისთანავე გადასცეს დამზღვევს სადაზღვევო პოლისი თანდართული სადაზღვევო პროგრამა, რომლის

⁴⁶გ.გიგოლაშვილი, სადაზღვევო საქმე, 2012 წ, 146.

საფუძველზეც ხორციელდება დაზღვევა. მოთხოვნისთანავე გადასცეს დამზღვევს ზარალის აცილებასთან, ზარალის სიდიდის შემცირებასთან დაკავშირებული მითითებები და ინსტრუქციები და დაიცვას კონფიდენციალურობა.⁴⁷

6 საწარმოო უბედური შემთხვევები და შრომის უსაფრთხოების პრობლემები

უმეტესობა ჩვენთაგანი 22 დან 65 წლამდე დღის უმეტეს ნაწილს სამსახურში ატარებს. ყოველწლიურად სამუშაო პირობებიდან გამომდინარე მილიონობით ადამიანი განიცდის დაზიანებებს, დაავადებებს და მათ შორის სიკვდილს.⁴⁸ განვითარებულ ქვეყნებში ბევრი საწარმო საკუთარ მიზნად უბედური შემთხვევების ნულოვანი მაჩვენებლის პოლიტიკის გატარებას აღიარებს. თუმცა აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ განვითარებად ქვეყნებში არსებული საწარმოები არ იმყოფებიან ამ სტადიაზე და არც იმ მანერა ფაქტორების ჯეროვნად განსაზღვრა შეუძლიათ, რომლებმაც შესაძლოა სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევები გამოიწვიოს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციის მიხედვით, ყოველ წელს საწარმოო უბედური შემთხვევისგან მსოფლიოში 2,3 მილიონი ადამიანი იღუპება. ყოველდღე დაღუპულთა რიცხვი ექვსიათასზე მეტია. მსოფლიოში ყოველდღიურად ხდება 337 მილიონი საწარმოო უბედური შემთხვევა და პროფესიული დაავადების 160 მილიონი შემთხვევა ფიქსირდება⁴⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მონოღებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა 59 და დაშავდა 199 ადამიანი, რაც წინა წლის მონაცემებს მნიშვნელოვნად აღემატება.⁵⁰

„დღევანდელ რეალობაში, ბიზნესში საწარმოო ინიციატივების აღიარებას, აღრიცხვას და მოკვლევას არ აქცევენ ყურადღებას და თვლიან, რომ ამის დამალვით კომპენსაციის რეპუტაციას უფრო ხელსაყრელია. ინციდენტის მოხდენის შემთხვევაში კომპანიები ცდილობენ არ გაახმაურონ, არ აღრიცხოთ და არც

⁴⁷ გიგოლაშვილი, სადაზღვევო საქმე, 147.

⁴⁸ J.P. Leigh. S. Markowitz. M.Fahs. P.landrigan. Cost of occupational Injuries and Illness, The university of Michigan Press. 1.

⁴⁹ ILO, Employment injury Benefits, 2010, 2.

⁵⁰ სახალხო დამცველის ანგარიში ანგარიში „საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2018 წ, 186.

გაერკვენ რეალურ გამომწვევ მიზეზებში. დაფარულად, მიკერძობითი პრაქტიკით ხდება დაზარალებულის სხვადასხვა მეთოდით „დალმაცოფილება“ და საბოლოო ჯამში მთელი მოკვლევის პროცესის აცილება. ორგანიზაციებში არ უღრმავდებიან ინციდენტის ძირეულ და სისტემურ გამომწვევ მიზეზებს, ჩქარობენ დასკვნების გამოტანას და ხშირია ინციდენტის ეგრეთწოდებულ „უბედურ, გარდაუალ“ მოვლენად შერაცხვა ან მხოლოდ დასაქმებულების ბრალეულობის გამოკვეთა. რეალობაში კი თითქმის ყველა სანარმოო ინციდენტს აქვს სისტემური გამომწვევი მიზეზი, რომელთა იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის გარეშე მსგავსი ინციდენტების განმეორება გარდაუვალა.“⁵¹

კარგი ორგანიზაცია - ესაა უბედური შემთხვევების თავიდან აცილების საფუძველი, ამისთვის, პირველი საფეხური უნდა იყოს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო, თავისუფალი საშროებისგან და უბედური შემთხვევის რისკებისგან.⁵² დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.⁵³ დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობა შრომის პირობები და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე, საქართველოსთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. დღესდღეობით პრობლემურ საკითხად იკვეთება სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დანესებულებებში დასაქმებულ პირთა შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებით უზრუნველყოფა. სანარმოებში უბედურ შემთხვევებს მრავალი გარემოება იწვევს, მათ შორის ინფრასტრუქტურის სიძველე და არასაიმედოობა. მაღაროებსა და შახტებში დასაქმებულები აღნიშნავენ არსებული მანქანა დანადგარებით სამუშაოს დავალების სრულფასოვნად შესასრულებლად პირადი უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენების საჭიროებაზე.⁵⁴ ისინი ამბობენ, რომ ხანდახან თვალს ხუჭავენ საუთარ უსაფრთხოებაზე და ცოტ-ცოტას რისკავენ, რაც საბოლოოდ მძიმედ შედეგით სრულდება. სანარმოო ტრამვების შემთხვევაში, სამგზავრო ვაკონების არარსებობისას მუშებს დამოუკიდებლად უწევთ დაშავებულის გამოყვანა

⁵¹ რატომ არის მნიშვნელოვანი სანარმოო ინციდენტების კლასიფიცირება, მოკვლევა და ანგარიშგება ?, 25.02.2019, ხელმისაწვდომია : <https://hrhub.ge> (20.05.2019)

⁵² ILO, Employment injury Benefits, 2010, 20.

⁵³ შრომის კოდექსი, მუხლი 35, პუნქტი 1.

⁵⁴ თ.ჭუბაბრია, ლ.გვიშიანი, ს.ჯოხაძე, შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში, თბილისი 2017, 20.

მაღაროდან თუ შახტიდან.⁵⁵ შრომის პირობების სანარმოებში თითქმის არ არი დაცული, ყურადღება არ ექცევა დანადგარების გამოცვლას და განახლებას, უსაფრთხოების წესებს. დასაქმებულები თავს არიდებენ ახალი ტექნიკის შეძენას, რადგან მათ სურთ თავიდან აიცილონ ზედმეტი ხარჯები. სანაცვლოდ კი ტექნიკა-დანადგარების დროებითი რესტავრაციის მეთოდს მიმართავენ და ერთჯერადი, არამდგრადი გზით აგვარებენ ინფრასტრუქტურის განახლების საჭიროებას. ეს ყველაფერი კი საბოლოოდ უბედური შემთხვევების გამოწვევის მიზეზი ხდება სანარმოებში, რაც აზიანებს და საშიშროების წინაშე აყენებს დასაქმებულების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. უკანასკნელ წლებში განხორციელებულირიგი საკანონმდებლო თუ სტრუქტურული ცვლილებებისა დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობა და შრომითი უსაფრთხოება არ განიცდის გაუმჯობესებას. ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხს ამ მიმართულებით, სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა გარდაცვალებისა და ფიზიკური დაზარების საგანგაშო სტატისტიკა წარმოადგენს. დასაქმებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც ამავედროულად, გარანტირებულია როგორც საქართველოს უზენაესი კანონით, საქართველოს კონსტიტუციით, ასევე სხვა არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით.

სანარმოო უბედური შემთხვევა სხვადასხვანაირად განიმარტება, თუმცა ყველა ქვეყანაში ის ეხება მოულოდნელ მოვლენას სამუშაო ადგილზე, რომელიც ზიანით სრულდება.⁵⁶ საქართველოს კანონმდებლობით სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევა განიმარტება, როგორც, სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;⁵⁷ უბედური შემთხვევის დაყოფა შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა, მძიმე უბედური შემთხვევა და ფატალური უბედური შემთხვევა. საშუალო სიმძიმის უბედური

⁵⁵ ჭუბაბრია, გვიშიანი, ჯოხაძე, შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 20.

⁵⁶D. Walters, An International Comparison of Occupational Disease and Injury Compensation Schemes, Cardiff University, March 2007, 3.

⁵⁷სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი. მუხლი 3, თ ქვეპუნქტი.

შემთხვევა სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც დაზიანება ხდება შრომის უუნარობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე. მძიმე უბედური შემთხვევის დროს ხდება მუდმივი შრომისუუნარობის განვითარება ან დროებითი შრომისუუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით. ფატალური უბედური შემთხვევის დროს კი ხდება დასაქმებულის გარდაცვალება, სიკვდილი ღვება მაშინ, როდესაც სამუშაო ადგილზე მყოფი ადამიანი მუშაობის დროს მიიღებს ტრამვას ან დაზიანებას და ეს შემთხვევა გამოიწვევს სიკვდილს. ხოლო, არათატალური ტრამვა ნიშნავს, რომ ადამიანი მუშაობის დროს დაზიანდა მაგრამ ის გადარჩა, არათატალური შემთხვევებია გონების დაკარგვა, მოტეხილობა, ამპუტაცია, ჩამოვარდნა და დაცემა ან რაიმე საგნით დაზიანება (სამუშაო ინსტრუმენტი მაგალითად) შემდეგ ეტაპზე ხდება ადამიანებისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენა ან სხვა ადგილზე გადაყვანა, იმისთვის რომ დაზიანება სასიკვდილო არ გახდეს.⁵⁸

განვიხილოთ რა შეიძლება ჩაითვალოს საწარმოო დაზიანებად, დაზიანება ეს არის შემთხვევით ან განზრახ მიყენებული ჭრილობა ან სხეულის მწვავე დაზიანება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა ენერჯიამ, როგორცაა სითბო, ელექტროენერჯია ან კინეტიკური ენერჯია, რომელიც იწვევს ნგრევას და ავარიებს (საუბარია ელექტრო ავარიებზე), ტრამვა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ კონკრეტულ ობიექტებზე, სადაც დაქირავებული ადამიანები მუშაობენ.

59

შრომის უსაფრთხოების სფეროში ასევე არსებობს არშემდგარი უბედური შემთხვევების ცნება, რომლებსაც ზოგჯერ „ნაჩუქარ ინციდენტსაც“ უწოდებენ. „არშემდგარი უბედური შემთხვევა“ ეწოდება იმ დაუგეგმავ მოლენას, (ინციდენტს), რის შედეგადაც ზიანი, ზარალი ან ჯანმრთელობის დაზიანება არ დამდგარა, მაგრამ მცირედით განსხვავებულ პირობებში ეს შეიძლება მომხდარიყო. ამ დროს გვეძლევა საშუალება ვაწარმოოთ ამ შემთხვევის მოკვლევა და გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები. ეს არის საუკეთესო საშუალება თავიდან ავიცილოთ მსგავსი შემთხვევების მომავალში განმეორება.⁶⁰ უბედური შემთხვევები სამუშაო

⁵⁸ Leigh, Markowitz, Landrigan, Cost of occupational Injuries and Illness,16.

⁵⁹ Leigh, Markowitz, Landrigan, Cost of occupational Injuries and Illness, 16.

⁶⁰ რატომ არის მნიშვნელოვანი საწარმოო ინციდენტების კლასიფიცირება, მოკვლევა და ანგარიშგება ?, 25.02.2019, ხელმისაწვდომია : <https://hrhub.ge> (20.05.2019)

ადგილზე შესაძლოა, რომ თავიდან იქნეს აცილებული, თუმცა, როდესაც ის ხდება საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება. საჭირო ზომების მიღება დაეხმარება, როგორც დამსაქმებელს, ასევე დასაქმებულს, რომ გააუმჯობესონ პირობები.⁶¹

შეიძლება ითქვას, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებას დასაქმების ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებული შემამოთხობელი ვითარება არ გაუმჯობესდება, რაც მისი არსებითი ნაკლოვანებებით იყო განპირობებული. მართალია კანონით, რიგი მნიშვნელოვანი ვალდებულებები დიანერგა, თუმცა შესაბამისი რეგულაციების აღსრულება არ ყოფილა უზრუნველყოფილი ეფექტიანი ინსპექციის სისტემით.⁶² ყურადღება უნდა გავამახვილოთ ასევე იმ ფაქტზე, რომ სხვადასხვა საწარმოში დასაქმებულები საუბრობენ საწარმოო ტრავმებსა გარდაცვალების შემთხვევების არასთანადო იდენტიფიცირების, აღრიცხვისა და კონპენსირების პრობლემებზე და არსებული პრაქტიკის შრომით უფლებრივ სტანდარტებთან დახლოების მიზნით, შესაბამისი გამოძიებისა და რეაგირების აუცილებლობაზე.⁶³ დაზარალებულთა დაშინებისა და მოსყიდვის გამო, საწარმოებში მცირე რაოდენობის ტრავმა და უბედური შემთხვევა აღწერილი, გამოძიებული და კომპენსირებული. მათი მტკიცებით, ტრავმისა და დაღუპვის შემთხვევებთან დაკავშირებული სტატისტიკის გასაჯაროების თავიდან აცილების მიზნით აღინიშნება დასაქმებულ პირებზე ზეწოლა და შანტაჟი, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს პასუხისმგებელი პირების დასჯისა და შრომის უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობა.⁶⁴ აღნიშნული ქმედება ხელს უშლის, საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევების ეფექტიან გამოძიებას, გამოვლენას და პრევენციას. სწორედ ესეთი ფაქტორები განაპირობებს, რომ ჩვენთვის ცნობილი სტატისტიკური მონაცემები რეალობასთან შეუსაბამოა.

⁶¹Walters. An International Comparison of Occupational Disease and Injury Compensation Schemes,3.


⁶²სახალხო დამცველის ანგარიში ანგარიში „საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2018 წ. 186.

⁶³ჭუბაბრია, გვიშიანი, ჯოხაძე, შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 27.

⁶⁴ჭუბაბრია, გვიშიანი, ჯოხაძე, შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში. 27.

შესაძლოა, რომ არასრული რეგისტრაცია კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს აღწევდეს შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნები მიყენების გამო დახმარების ისეთი სქემების არსებობის, პირობებში, რომლებიც ეფუძნება დამქირავებელთა პასუხისმგებლობის პრინციპებს, ვინაიდან ამ სქემებში შემთხვევათა კომპენსაცია შესაძლოა ემყარებოდეს დაზარალებულ პირებსა და დამქირავებლებს შორის „სიტყვიერ მოლაპარაკებებს „⁶⁵

საქართველოში მომხდარი საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად დაღუპული და დაშავებული ადამიანების სტატისტიკა :



წყარო: სახალხო დამცველის ანგარიში ანგარიში „საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2014-2018 წწ.⁶⁶

6.1 საწარმოო უბედური შემთხვევისგან გამონვეული ხარჯები.

პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვა დაკავშირებულია მორალურ, საკანონმდებლო და ბიზნეს ასპექტებთან. მორალური ვალდებულებები მოიცავს თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. სამართლებრივი მიზეზები უკავშირდება კანონების პრევენციულ,

⁶⁵ILO. Employment injury Benefits, 2010. 5.

⁶⁶სახალხო დამცველის ანგარიში ანგარიში „საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2014-2018წ.

სადამსჯელო და კომპენსატორულ ეფექტს, რომელიც იცავს მუშათა უსაფრთხოებას. აქტიური პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯმენტი ზრდის და ხელს უწყობს შიდა კლიმატისა და გარე რეპუტაციის გაღრმავებას. ამასთანავე, ამცირებს თანამშრომლის დაზიანებას და უბედური შემთხვევის შედეგად გამოწვეულ ხარჯებს.⁶⁷

პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვისთვის მნიშვნელოვანი არის სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევების ავარიის ხარჯების ანალიზი. რადგან სამუშაოებზე მომხდარი უბედური შემთხვევები მძიმე დატვირთვას სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით და ქმედებები, რომლებიც მიმართულია, რომ გააუმჯობესოს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები დიდ მიღწევებს სთავაზობს არა მარტო დამსაქმებლებს, არამედ მთლიანად ინდივიდებს და საზოგადოებას. თუმცა, კომპანიები ხშირად არ არიან დაინტერესებულნი, რომ შეაფასოთ ავარიების ხარჯები, თუნდაც ფასების შესახებ ინფორმაციამ ხელი შეუწყოს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის ინიციატივების შემსუბუქებას.⁶⁸ უბედური შემთხვევების ხარჯების ანალიზი მნიშვნელოვანია საზოგადოების, მუშებისა და კომპანიის პერსპექტივებისათვის. სოციალურ დონეზე 2004 წელს ევროკომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამუშაოებზე მომხდარი ავარიების ხარჯები დაახლოებით 55 მილიარდ ევროს შეადგენს. 2010 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ევროპის კავშირის 27 წევრ ქვეყანაში დასაქმებულთა დაახლოებით 3.2% (6.9 მილიონი ადამიანი) მუშაობდა უბედური შემთხვევის დროს, პროცენტული მაჩვენებელი 8.6%-მდე იზრდება იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ათიდან ერთი მუშაკის ჯანმრთელობის პრობლემა სამსახურს უკავშირდება⁶⁹ ზიანის ღირებულება შედგება: ხელფასისგან, რომელსაც

⁶⁷ Battaglia, Frey, Passetti, Accidents at Work and Costs Analysis: A Field Study in a Large Italian Company, 2014, 354–366.

⁶⁸ M. Battaglia, M. Frey, E. Passetti, Accidents at Work and Costs Analysis: A Field Study in a Large Italian Company, 354–366.

⁶⁹ Eurostat (2010) Health and safety at work in Europe (1999–2007). A statistical portrait. http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal//portal/health/health_safety_work. Accessed, May 27 2019.

დასაქმებული კარგავს, იქამდე სანამ არ აღიდგენს თავის ჯანმრთელობას და დაზიანებებს, უმუშევრობსგან გამომდინარე, რაც იწვევს ადამიანური კაპიტალის შესაძლო შემცირებას და ფულადი ექვივალენტისგან, რომელიც დაკავშირებულია დაზიანებისგან გამონეულ ფსიქიკურ და ფიზიკურ ტკივილთან.

70

7 შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ისტორიული საწყისები.

ადრეულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში მუშა-მოსამსახურეები მავნე ან პოტენციურად მავნე სამუშაოს შესრულებისთვის შედარებით მეტ გასამრჯელოს იღებენ. დამატებითი თანხების მიღება უზრუნველყოფდა მუშა-მოსამსახურეების ჯანმრთელობის რისკისა და ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციას. თანამედროვე საზოგადოებაში მსგავსი ქმედება უმეტესწილად უარყოფილია.⁷¹ შემდეგ ეტაპზე დამკვიდრდა სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების გამო ზიანის ანაზღაურებაზე დამქირავებელთა პასუხისმგებლობის ლეგიტიმაციის პრაქტიკა. ამ სისტემის ფარგლებში დამქირავებლები ახორციელებდნენ დაზარალებული მუშა-მოსამსახურეების ფინანსურ კომპენსირებას. იმავედროულად, თუ ფირმა განიცდიდა ფინანსურ სიძნელეებს ან მიმდინარეობდა მისი ლიკვიდაცია, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაზიანების გამო შრომისუნარო მუშა-მოსამსახურეების ხშირად რჩებოდნენ გარანტირებული შემოსავლების გარეშე. გარდა ამისა მასშტაბური კატასტროფებისა და დაზარალებულთა დიდი რაოდენობის არსებობის შემთხვევაში კომპანიები ხშირად კოტრდებოდნენ და ვერ ახერხებდნენ საკუთარი მუშა მოსამსახურეებისათვის კუთვნილი კომპენსაციების გადახდას.⁷²

დასაქმებისგან მიყენებული ზიანის შემცირება, არის სოციალური დაცვის ყველაზე გავრცელებული ფორმა. ისტორიულად ეს იღვია ეკუთვნის ოტო ფონ ბისმარკს, რომელიც 1884 წელს ნაციონალური სქემის მიხედვით გერმანიაში შეიქმნა. ბისმარკი იყო შენუხებული ეკონომიკის სექტორში მაღალი დონის რისკებით ისეთ

⁷⁰R. j. Butler, The Economics of Social insurance and employee Benefits, University of minesota, U.S.A. 1999, 4.

⁷¹ILO, Employment injury Benefits,5.

⁷²ILO, Employment injury Benefits, 5.

სფეროებში, როგორცაა მარილის მოპოვება, რკინის წარმოება, ქვის მოპოვება, რკინიგზის მშენებლობა სადაც უბედური შემთხვევები იყო ჩვეულებრივი მოვლენა. ბისმარკის ინიციატივამ მოიტანა სასურველი შედეგები მუშებისთვის, რომლებიც ადრე განწირულნი იყვნენ შეჯახებოდნენ ისეთ სიძნელეებს და ძვირად ღირებულ ამოცანებს, როგორც იყო სასამართლოს დახმარებით კონპენსაციის მიღება და ადვოკატების დაქირავება დამსაქმებლების წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში თუ მათ სურდათ სამუშაოსგან მიღებული ტრამვის კომპენსაციის მიღება. რეფორმა ამავე დროს სასარგებლო გამოდგა დამსაქმებლისთვისაც, მათ შეეძლოთ თავიანთი წვლილი შეეტანათ და გაეუმჯობესებინათ სოციალური სამყარო. ერთ-ერთი ამ რეფორმის ავტორის სიტყვებიდან ნათქვამია, რომ "მუშების კომპენსაციის წარმოშობა და ფუნდამენტური ღირებულება ეფუძნება ურთიერთდახმარების პრინციპს, რომელიც გამომდინარეობს ისტორიული კომპრომისებისგან, რის შედეგადაც მუშები უარს ამბობდნენ ეჩივლათ წარმოებისთვის და თავიანთი დამსაქმებლებისთვის.⁷³

საფრანგეთში დასაქმებულების დაზღვევის საფუძველი გახდა 1898 წლის კანონი, რომელითაც დამტკიცდა კომპენსაციის გარკვეული სახე დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის.: დასაქმებულები, რომლებიც დაზიანდებოდნენ უბედური შემთხვევის შედეგად სამუშაოს ადგილზე ან სამუშაოს შესრულების დროს მიიღებდნენ კომპენსაციას. ეს კანონმდებლობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა, რომ მუშაკის ჯანმთელობისთვის მიყენებული ზიანი ანაზღურებულიყო უფრო ფართო კომპენსაციით, ვიდრე ამას უზრუნველყოფთდა ავადმყოფების და ინვალიდობის სადაზღვევო სისტემა, დიდი ხნის მანძილზე განიხილლებოდა, როგორც მნიშვნელოვან წინ გადადგმული ნაბიჯად.⁷⁴

⁷³International Labour Office Geneva, Strengthening the Role of Employment Injury Schemes to Help Prevent Occupational Accidents and Diseases, 2013,1.

⁷⁴European survey on the conditions of compensation for the victims. Accidents at work and occupational diseases: flat rate or full reparation? 2005, 3.

ინგლისში შუა საუუნეებში თანდათანობით ჩამოყალიბდა კრიტიული პრინციპები, რომელიც განსაზღვრავდა თუ როგორი დაზიანებები ექვემდებარებოდა კომპენსაციას.⁷⁵

უბედური შემთხვევის დაზღვევა ფედერალური კანონმდებლობით ავადმყოფობის დაზღვევასთან ერთად შვეიცარიაში წარდგენილი იყო 1911 წლის 13 ივნისს. ამ კანონს დაერთო 1915 წლის 18 ივნისის ფედერალური კანონი, რომელმაც სავალდებულო გახადა უბედური შემთხვევის დაზღვევა და დამსაქმებულთა მიერ კერძო კონტრაქტების გაფორმება მუშებთან და დასაქმებულებთან.⁷⁶

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა სოციალური უზრუნველყოფის მინიმალური სტანდარტების კონვენცია 1952, C 102, რომელიც ეხება დასაქმებულების დაზღვევას და დასაქმებულების საწარმო ტრამვისგან დაზღვევას, აღნიშნული კონვენცია შეიცავს სხვა უზრუნველყოფის განშტოებებსაც⁷⁷. კონვენცია ეხება სოციალური უზრუნველყოფის ყველა მიმართულებას და იგი მოიცავს ასევე, ბენეფიტების სხვადასხვა კატეგორიას. აღნიშნული კონვენციის მიხედვით, ნებისმიერი გარემოება, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს ჯანმრთელობაზე და რომელიც გამოწვეულია სამუშაო პირობებიდან გამომდინარე უბედური შემთხვევის ან პროფესიული დაავადების შედეგად და რომელიც დასაქმებულს ხდის დროებით ან მუდმივად შრომისუნაროს, აუცილებლად უნდა იყოს ნაწილობრივ ან მთლიანად დათარული. აღნიშნული კონვენციით დაცვა ასევე უზრუნველყოს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დასაქმებული კვდება სამუშაოს შედეგად და მას რჩება მის კმაყოფაზე მყოფი პირები. შესაბამისად, ეს დებულება უნდა შეიცავდეს სამედიცინო და მასთან დაკავშირებულ დახმარებებს, დაზარალებულის ჯანმრთელობის შენარჩუნების, აღდგენის ან გაუმჯობესების მიზნით და მისი უნარ-ჩვევების და პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ფულადი სარგებლის აგდახდა უნდა მოხდეს, როგორც დაზარალებულისთვის ასევე მის

⁷⁵Haller JS, Industrial accidents-worker compensation laws and the medical response, Western J of Med, 1988, 148.

⁷⁶C. Villars, Insurance against Employment Accidents and occupational diseases in Switzerland: New federal law of 20 March 1981 on Accident insurance, 2007,1.

⁷⁷ Comparative Analysis of Employment Injury Insurance (EII) and Employment Insurance (EI) in Asia and the Pacific region, 2010, 3.

კმაყოფაზე მყოფი პირებისთვისაც, გადასახადის გადახდა უნდა ხდებოდეს პერიოდულად და უნდა იყოს გარანტირებული. იმ შემთხვევაში თუ დაზიანება და პრომისუენარობა იქნება უმნიშვნელო, ასეთ დროს შესაძლებელია, რომ თანხის გადახდა ერთიანად მოხდეს.⁷⁸

მეორე კონვენცია, რომელიც პრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა ეს არის პრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის შესახებ კონვენცია 1964 -⁷⁹C102. აღნიშნული კონვენციის სქემა ახდენს მუშა მოსამსახურეთა შემოსავლების გარკვეული დონით უზრუნველყოფას მათ ინვალიდობის ან პრომისუენარობის შემთხვევაში, რომელიც პრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით იქნა გამოწვეული. კომპენსირების ეს ფორმა ყველაზე ფუნდამენტურ პრომით უფლებას წარმოადგენს. C 102 კონვენციის თანახმად, საწარმოო ტრამეების ან პროფესიული დაავადების განვითარების შემთხვევაში ყველა მუშაკი სარგებლოს კომპენსაციის მიღების უფლებით მათი დასაქმების სტატუსის ან დამქირავებელთა მხრიდან სადაზღვევო შენატანების გადახდი მდგომარეობის მიუხედავად.⁸⁰ აღნიშნული კონვენციები დღესდღეობით საყოველთაო სტანდარტად არის მიჩნეული.

დასაქმებულთა დაცვის უფლებები დაცულია ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (UDHR), 1948 და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ შეთანხმებაში (ICESCR), 1966 წ. ამ უფლების რეალიზაცია მოითხოვს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო პირობებს, პროფესიული დაავადებების პრევენციას, მკურნალობას და კონტროლს, ასევე ადეკვატური შეღავათების უზრუნველყოფას ნაღდი ფულით ან სხვა სახით, რითაც მოხდება

⁷⁸ Global Programme Employment Injury Insurance and Protection | GEIP, Contributing to Decent Work and the Social Protection Floor Guarantee in the Workplace, 4.

⁷⁹C121 - Employment injury Benefits Convention 1964 available : https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C121

⁸⁰C121 - Employment injury Benefits Convention 1964 available : https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C121

დაზიანებული დასაქმებულისა და მისი ოჯახის წევრების სათანადო სამედიცინო მომსახურება და მათი შემოსავლების უსაფრთხოების დაცვა.⁸¹

დღესდღეობით საწარმოო პრობითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურების საბაზისო სქემები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს. იმავდროულად, ზიანის ან აზღაურების პრინციპები და მათი გააზრება მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნებს შორის. კომპენსირების ყველაზე გავრცელებული მოდელი ეფუძნება სოციალური დაზღვევის პრინციპებს, ძირითადად დამქირავებელთა მხირად ფინანსური შენატანების საერთო ფონდში თავმოყრის მეშვეობით.⁸²

8 საწარმოო უბედური შემთხვევის დაზღვევის არსი

ევროპის ყველა ქვეყნის სისტემას აქვს პრეზუმტიცია, იმის შესახებ, რომ თუ დაზიანება არის შედეგი უბედური შემთხვევისა, რომელიც მოხდა სამუშაო ადგილზე და სამუშაო დროში, მისი მსხვერპლი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია.⁸³ სამსახურში მომხდარი უბედური შემთხვევები არა მხოლოდ საფრთხეს უქმნის დასაქმებულთა სიცოცხლეს, არამედ აზიანებს დამქირავებელთა კაპიტალს და ზრდის ქვეყნის სოციალურ ხარჯებს.⁸⁴ სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით თითქმის ყველა ინდუსტრიულმა ქვეყანამ წარადგინა კანონები და რეგულაციები. მთავრობის მიერ დაფუძნებული დაზღვევის ზოგიერთი ფორმა იძლევა გარანტიას, რომ ანაზღაურებულ იქნებას სამუშაოსგან მიყენებული ყველა დაზიანება და დაავადება. რეალურად ყველა ქვეყნის კომპენსაციის სისტემა განსხვავებულია. ადვილად პროგნოზირებადია, რომ ამ განსხვავებულმა მიდგომებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს დამქირავებლისა და მუშათა წახალისების პროცესის სისტემური მუშაობაზე, რათა ხელი შეუწყოს

⁸¹ Global Programme Employment Injury Insurance and Protection | GEIP. Contributing to Decent Work and the Social Protection Floor Guarantee in the Workplace, 4.

⁸² ILO, Employment injury Benefits, 6.

⁸³ Walters. An International Comparison of Occupational Disease and Injury Compensation Schemes, 3.

⁸⁴ I. shin. J-B oh. H. K. Yi, Workers' Compensation Insurance and Occupational Injuries, 2011 Jun; 148–157.

სამუშაო ადგილზე უსაფრთხო გარემოს დაშესაბამისად გავლენა იქონიოს პროფესიული დაზიანებისა და დაავადებების შემთხვევების შესამცირებლად.⁸⁵

საწარმოო უბედური შემთხვევის დაზღვევის დანიშნულებაა, სამუშაო პირობებში, შემთხვევითი უბედურებისგან ადამიანებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება სადაზღვევო დაცვის სისტემის საშუალებით. საწარმოო უბედური შემთხვევის დაზღვევის და პროფესიული დაავადებების დაზღვევის ძირითადი მიზანი არის ის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მუშა და მისი ოჯახი განსაზღვრული შემოსავლის დონით, იმ შემთხვევაში თუ დაინვალიდდება ან დაკარგავს შრომის უნარიანობას. კომპენსაციის ეს სახე წარმოადგენს შრომითი უფლებების საფუძველს.⁸⁶ საკვანძო ფასი არის რისკზე დამოკიდებული, ეს ნიშნავს, რომ დამსაქმებელი ისეთ რისკის დონეზე ვალდებულია გადაუხადოს დასაქმებულს როგორი რისკ ფაქტორის წინაშეც ის იმყოფება. დამსაქმებელი, რომელმაც დაიქირავა დასაქმებული და ის მუშაობს მაღალი რისკის სამუშაოზე უნდა გადაუხადოს მაღალი რისკის ფასი, ვიდრე დამსაქმებელმა, რომელმაც დაიქირავა დასაქმებული დაბალი რისკის მქონე სამუშაოზე,⁸⁷ ასანაზღაურებელი თანხა მზღვევლსა და დამსაქმებელს შორის წინასწარ შეთანხმებული ლიმიტის შესაბამისად განისაზღვრება. შესაბამისად დამსაქმებელი ვალდებულია განსაზღვროს, რამდენად საშიში პირობებია მის საწარმოში და რამდენად მაღალი რისკის ქვეშ დგას დასაქმებულის ჯანმრთელობა. სადაზღვევო პაკეტიც სწორედ ამ პირობებიდან გამომდინარე, უნდა იყოს განსაზღვრული, იმისთვის, რომ დასაქმებულს უბედური შემთხვევის დადგომის შემთხვევაში გონივრულად აუნაზღაურდეს ზიანი და დამსაქმებელს თავისი დამატებითი ხარჯებითაც არ მოუწიოს კომპენსაციის გაცემა.

უბედური შემთხვევებისა და საშიშ სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყოველწლიური ეკონომიკური დანაკარგები 1,25 ტრილიონ აშშ დოლარს აჭარბებს, რაც გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის 4% უტოლდება. განცდილი ტანჯვის, ტკივილისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის გათვალისწინებით, ამ ხარჯების უდიდესი ნაწილი დასაქმებულ პირებზე მოდის.

⁸⁵ I. shin. J-B oh. H. K. Yi, Workers' Compensation Insurance and Occupational Injuries, 148-157.

⁸⁶ILO. Employment injury Benefits, 2.

⁸⁷ I. shin. J-B oh. H. K. Yi, Workers' Compensation Insurance and Occupational Injuries, 148-157.

ამ ზარალის სრულად ანაზღაურება შეუძლებელია. ეჭვგარეშეა, რომ დამსაქმებლები ასევე განიცდიან მნიშვნელოვან ზარალს, რომელიც პროდუქტიულობის შემცირებასთან არის დაკავშირებული.⁸⁸

პრევენცია და დაცვა ეს არის მთავარი მომენტი, როცა საუბარია სანარმოო უბედურ შემთხვევებსა და პროფესიულ დაავადებებზე. საჭიროა მოხდეს შესაბამისი ზომების მიღება, რათა შემცირდეს სანარმოებში უბედური შემთხვევების რაოდენობა. უბედურმა შემთხვევებმა და პროფესიულმა დაავადებებმა შესაძლოა თვით სადაზღვევო სისტემების ძლიერი ფინანსური არასტაბილურობა გამოიწვიოს. პირველი რიგის ამოცანა უნდა იყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების შეთავაზება, რომელიც დაცული იქნება მავნე ფაქტორების რისკებისა და უბედური შემთხვევებისაგან. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის თანამედროვე სისტემა, რომელიც დაფუძნებულია პროფილაქტიკური ზომების მისაღებად საჭირო რისკების შეფასებაზე წარმოადგენს საუკეთესო ინსტრუმენტს, რათა დამქირავებლებმა და დასაქმებულმა პირებმა ერთობლივად გააუმჯობესონ სამუშაო ადგილის უსაფრთხოების სტანდარტები. ჯანმრთელობისთვის საშიშ და მავნე პირობებში მუშაობის გამო დამატებითი ანაზღაურების სისტემა მოძველებულია და ის გაუქმებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.⁸⁹ სანარმოო უბედური შემთხვევის დაზღვევა ხელსაყრელია, როგორც დასაქმებულისთვის, ისე დამსაქმებლისთვის. დაზღვევის საშუალებით ორივე მხარე აცდება მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს საშუალებით დავის გადანაცვლას. გარდა ამისა, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებული მუშაკი საჭიროებს სრულ სამედიცინო დახმარებას და მატერიალურ ფინანსური ზარალისგან დაცვას. იმ შემთხვევაში თუ დასაქმებული იქნება დაზღვეული, სამკურნალო ხარჯების ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიისგან მოხდება დროულად.

მენარმეები ვალდებულნი არიან, დაფარონ ზარალი და გადაუხადონ საკონპენსაციო თანხები იმ ადამიანებს, რომლებმაც სანარმოში მიიღეს სხვადასხვა სახის დაზიანება. მნიშვნელოვანია და ზრდის ტენდენციით

⁸⁸ILO, Employment injury Benefits, 2.

⁸⁹ILO, Employment injury Benefits, 19.

ხასიათდება იმ თანხის მოცულობა, რომლებსაც განსაზღვრავს სასამართლო კომპენსაციის სახით სხეულის დაზიანების გამო.⁹⁰ იმ შემთხვევაში თუ კომპანიებს არ აქვს საწარმოო დაზღვევა და იქ მოხდა უბედური შემთხვევა ანდა იქ მომუშავე ადამიანი პროფესიულ დაავადებებს იღებს ამ შემთხვევაში დაზარალებული მისი ოჯახი რჩება ყოველგვარი სოციალური დაცვის გარეშე.⁹¹

9 დასაქმებულთა დაზღვევა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში

ევროპაში, ძირითადად, დასაქმებულთა კომპენსაციის სისტემის ორი საბაზისო მოდელი არსებობს. ერთი მათგანი ემყარება გერმანიის მიდგომას, რომლის პირობებშიც დამსაქმებელთა მიერ დაფინანსებული თვითმართველი სადაზღვევო ასოციაციები უზრუნველყოფენ სრულ პრევენციულ, სარეაბილიტაციო და საკომპენსაციო მომსახურებას, ხოლო მეორე მოდელის თანახმად, სახელმწიფო ფართო სოციალური მომსახურების ფარგლებში, ახორციელებს პროფესიული დაზიანებებისა და დაავადებების კომპენსირებას, რის დასაფინანსებლადაც დამსაქმებელთათვის დაკისრებულ გადასახადებს იყენებს. ევროპის ბევრ ქვეყანაში დასაქმებულთა კომპენსაციის სისტემა სწორედ ამ ორ, სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო სისტემების მონაწილეობით განხორციელებულ მიდგომათა ნაზავს ემყარება.⁹²

კვლევაში, როგორც გვაჩვენა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სრულად, ხოლო ზოგიერთში ნაწილობრივ, კანონის დანაწესის ან შრომის ხელშეკრულების მიხედვით დაზარალებულებს უნარჩუნდებთ ხელფასი შრომისუუნარობის განმავლობაში. ხელფასის შენარჩუნების პერიოდის შემდგომ უკვე იწყება დღიური ბენეფიტების გადახდა დაზარალებულთათვის. ბენეფიტების ოდენობა, ზოგიერთ ქვეყანაში დამოკიდებულია დასაქმებულის ხელფასის პროცენტულ წილზე. მაგალითისთვის, ავსტრიაში დამსაქმებელს უნაზღაურდება ხელფასის 50 %, ხოლო ლუქსემბურგში შეიძლება გადახდილ იქნას ხელფასის სრული ოდენობა.⁹³ კანონმდებლობის თანახმად დადგენილია ზღვარი, ზღვრული

⁹⁰ შათირიშვილი, კაკაშვილი, სადაზღვევო საქმე, 69.

⁹¹ ILO, Employment Injury Benefits, 20.

⁹² Walters, A Research Report prepared for the Industrial Injuries Advisory Council, 2.

⁹³ European survey on the conditions of compensation for the victims. Accidents at work and occupational diseases: flat rate or full reparation? 2005, 7.

დღეების გადაჭარბების შემთხვევაში დასაქმებული იღებს არა ღროებით შრომისუნააროს, არამედ პერმანენტული შრომისუნააროს სტატუს და ენიშნება შესაბამისი პენსია.

პერმანენტული შრომისუნარობის ანაზღაურება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ზიანი იქნა მიყენებული შრომისუნარიანობის პერმანენტულად დარღვევის შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყნებში ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველ ჯგუფში შედიას გერმანია, ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, პორტუგალია. ამ ქვეყნებში შრომისუნარიანობის პერმანენტული დაკარგვისას კომპენსაციის დანიშვნის წინაპირობაა ზიანის აღმოფხვრის და დაქირავებული მუშაკის შრომისუნარიანობის აღდგენის მიზანი.

⁹⁴ ესპანეთი და პორტუგალია ამავე ჯგუფში შედიან თუმცა გარკვეული მახასიათებლებით. მეორე ჯგუფს შეადგენენ დანია, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია. ამ ქვეყნებში დაზარალებულს არა მხოლოდ შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო ეძლევა კომპენსაცია არამედ იმ ზიანისთვისაც, რომელიც განიცადა ფიზიკურად ან/ფსიქიკურად მისი ჯანმრთელობისთვის პერმანენტულად მიყენებული ცვლილების გამო. დაზარალებულის მიერ დაკავებული თანამდებობა შესწავლილია დეტალურად. შემოსავლის ოდენობა, რაც შრომისუნარიანობის დაკარგვის შემდეგ შეიძლება მიიღოს დაზარალებულმა მუშაკმა შედარებულია იმ შემოსავალთან რასაც შრომისუნარიანობის პერმანენტულად დაკარგვის გარეშე გამოიმუშავებდა.⁹⁵

კვლევის შეჯამების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპისთვის ევროპაში აქტუალურია დასაქმებული მუშების დაზღვევა და კომპენსაცია. სინამდვილეში, ქვეყნები განსხვავდებიან იმის, მიხედვით, თუ როგორ ქმნიან მუშათა კომპენსაციის დაფინანსების სისტემებს, რა მექანიზმებს იყენებენ და როგორ ანაწილებენ ხარჯებს. ამდენად, ადვილად პროგნოზირებადია, რომ ამ განსხვავებულ მიდგომებს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა სისტემური მუშაობისთვის, მათ შორის დამსაქმებელთა და მუშაკთა წახალისებისა და სამუშაო ადგილის უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის და

⁹⁴ European survey on the conditions of compensation for the victims. Accidents at work and occupational diseases: flat rate or full reparation? 9.

⁹⁵ European survey on the conditions of compensation for the victims. Accidents at work and occupational diseases: flat rate or full reparation?, 10.

აქედან გამომდინარე პროფესიული დაზიანებების და დაავადებების სიხშირის გავრცელებაზე.⁹⁶

სხვადასხვა ქვეყნებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ კომპენსირების სისტემას ახასიათებს გარკვეული საერთო მახასიათებლები, თუმცა განსხვავებებიც ბევრი გვხვდება. ზოგიერთი ქვეყანა ცოტათი უფრო უკეთ ანაზღაურებს დაკარგული შრომისუნარიანობის პროპორციულ თანხას. როგორც იკვეთება, უმეტეს ქვეყანაში დასაქმებულის დაზღვევა სავალდებულოა და ისინი დაზღვევას ექვემდებარებიან სამსახურის დანყების პირველი დღიდან.

9.1 იტალია

იტალიური სამართლის სიტემა ითვალისწინებს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების სავალდებულო დაზღვევას, რომელსაც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების სავალდებულო დაზღვევის ეროვნული ინსტიტუტი.⁹⁷ პრეზიდენტის N 1124/1965 განკარგულების 1-ლი და მე-4 მუხლების შესაბამისად დამსაქმებელი ვალდებულია, დააზღვიოს დასაქმებული სამუშაო ადგილზე მომხდარი შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებებისგან, განსაკუთრებით კი, მაშინ, როდესაც დასაქმებული მუშაობისას იყენებენ წნევას, ელექტრო და თერმულ მანქანებს, დანადგარებს, ასევე, ამგვარ საწარმოში სამუშაოს შემთხვევაში მაშინაც, თუ ისინი არ იყენებენ აღნიშნულ მანქანებს ალჭურვილობასა და დანადგარებს.⁹⁸ მოგვიანებით ეს დებულება კიდევ უფრო გაფართოვდა N38/200 განკარგულებით და დადგინდა, რომ დაზღვევა საჭიროა, „ასევე ნაწილობრივ დაქვემდებარებული დასაქმებულებისათვისაც“ (პირები, რომლებიც ხელფასს იღებენ

⁹⁶ I. Shin, J. Byoung. Oh. H. Kwan Yi, Workers' Compensation Insurance and Occupational Injuries, 2011, 148-157.

⁹⁷G.Gullotta, laresponsabilita civile dell'impreditor per infortune sullavoro e malattie professional ideidipen denti, in riv. Giur lav. (1980) IV, 341; G. Ferrari, Infortunisullavoro e malattieprofessionali (Pradua 1993) მით: ა. ბორონი. საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი. მერიდიანი თბილისი. 2016.307.

⁹⁸ა. ბორონი, საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, 307.

დამსაქმებელთან დაკავშირებული პროექტებიდან ან სამუშაოდან) ევროპის არანევრ ქვეყნებში მომუშავე აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებისა და პროფესიონალი ათლეტებისთვის.

სასამართლო გადაწყვეტილებებში მოცემული დირექტივების საფუძველზე N38/200 განკარგულებამ სავალდებულო დაზღვევაში მოაქცია ე.წ. in itinere accidents, კერძოდ, შემთხვევა, როდესაც დასაქმებული მოდიოდა სამსახურში ან მგზავრობდა ორ პუნქტს შორის, მათ შორის სადილად მიმავალ ან სამსახურისკენ მიმავალ გზაზე, თუ სამუშაო ადგილზე არ არსებობს სასადილო.⁹⁹

სათანადო ანაზღაურება უნდა მიეცეს პირებს, რომელსაც დაუზიანდა ანატომიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც იწვევს შრომისუნარიანობის დაკარგვას და დაქვეითებას. თუმცა, მხოლოდ შრომისუნარიანობის შემცირება არ წარმოადგენს იმ ფაქტს, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული „ანაზღაურებადი ზიანის“ ცნების განსაზღვრის დროს. ფაქტობრივად, ფიზიკური მთლიანობასთან ერთად, იმ ბუნებრივი ფუნქციის დარღვევა, რომლის მეშვეობითაც პირი გამოხატავს თავის მორალურ, ინტელექტუალურ კულტურულ და სოციალურ პიროვნულობას გარშემო, სადაც ის ცხოვრობს, მოცემულია ბიოლოგიური ზიანის ცნებაში.¹⁰⁰

9.2 ავსტრია

ავსტრიაში სამუშაოს შესრულების დროს მომხდარი უბედური შემთხვევები არის ის შემთხვევები, რომლებიც დაზღვეულის დასაქმების ფარგლებში წარმოიშობა, მნიშვნელობა არ აქვს პირდაპირ სამუშაოდან გამომდინარე იქნება გამოწვეული უბედური შემთხვევა თუ, უბრალოდ საუშაოს შესრულების ადგილზე მოხდება. არც იმას აქვს მნიშვნელობა სამუშაო საათებში მოხდება უბედური შემთხვევა თუ სამუშაო საათების შემდგომ. ავსტრიაში დაქირავებული მუშაკის დაცვა განპირობებულია, გენერალური სოციალური კანონის საფუძველზე, რომელიც

⁹⁹Cass. Civ, 17 june 2014, n. 13733, in CED Cassazione, 2014 . cass. Civ, 13 january 2014 n475

¹⁰⁰F.D. Busnelli, Il danno biologico; dal diritto vivente al dittitto vigente, (turin,2001) T. Pirani, Danno biologico e rivalse INAIL prima della riforma di cui. Al. D/lgs n 38/200, in Danno e resp. (2000) at 1264. მით : ა. ბორონი. საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი გვ.310

განსზღვრავს კომპენსაციის სიმაღლეს.¹⁰¹ ნებისრმიერი უბედური შემთხვევა, რომელიც ხდება შრომითი მოქმედების დროს, არის საწარმოო უბედური შემთხვევა. სამუშაოს ფარგლებში მოქმედება, ასევე მოიცავს სახლიდან სამსახურამდე და სამსახურიდან სახლამდე გადაადგილებას. სამუშაოს დროს მომხდარი უბედური შემთხვევის დროს, დასაქმებული იღებს ფულად სახსრებს, იმ შემთხვევაში თუ დასაქმებული ხდება შრომისუუნარო და ის ვეღარ ახერხებს მუშაობას.¹⁰²

იმ შემთხვევაში თუ დასაქმებული ვერ შეძლებს მუშაობას სამსახურში მიყენებული ზიანის ან დაავადების გამო, რომელიც მისი ბრალეულობით არ ყოფილა გამოწვეული, დასაქმებული მას გადაუხის 12 კვირის ხელფასს, ამის შემდგომ კომპენსაციის გადახდა გაგრძელდება ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდიდან, იქამდე სანამ სამსახურიდან გამონვეული შრომისუუნარობა არ ჩაითვლება დასრულებულად. ჯანმრთელობის დაზღვევის კომპენსაცია არ შეესაბამება ხელფასის ოდენობას.¹⁰³

9.3 საფრანგეთი

საფრანგეთში დასაქმებულების დაზღვევა უბედური შემთხვევისგან არის სავალდებულო. ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში სამუშაო ადგილზე მომხდარ უბედურ შემთხვევებში იგულისხმება, უბედური შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია სამუშაოდან გამომდინარე ან უშუალოდ სამუშაო ადგილზე და ასევე უბედური შემთხვევა, რომელიც მოხდება სამუშაოს გზაზე ან სამუშაოდან წამოსვლის დროს. იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული, სამუშაოდან გამომდინარე გახდება შრომისუუნარო ის მიიღებს ყოველდღიურ შემწეობას, რომელიც ყოველდღიური შემოსავლის 60 % უტოლდება.¹⁰⁴ იმ შემთხვევაში კი, როდესაც

¹⁰¹ REGULATIONS ON EMPLOYMENT, INTERNSHIPS AND TRAINEESHIPS INSURANCE IN EU COUNTRIES Strategic Partnerships for Higher Education – SPRINT – 2017. 5.

¹⁰²Austria - Benefits in respect of accidents at work and occupational diseases. Available: <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1101&langId=en&intId=4404> . 19.05.2017

¹⁰³ REGULATIONS ON EMPLOYMENT, INTERNSHIPS AND TRAINEESHIPS INSURANCE IN EU COUNTRIES. 5.

¹⁰⁴European Commission. Your social security rights in france. European Union, 2013, 19.

უბედური შემთხვევა გამოიწვევს პერმანენტულ შრომისუუნარობას, დასაქმებულს აქვს უფლება მოითხოვოს დახმარების დანიშვნა. დახმარების თანხის ოდენობა განისაზღვრება დასაქმებულის ხელფასის ოდენობით ბოლო 12 თვის მანძილზე და ასევე იმის გათვალისწინებით თუ როგორი ხარისხისაა მისი პერმანენტული შრომისუუნარობა.¹⁰⁵

9.4 გერმანია

გერმანიაში დასამუშაოებს აქვთ სავალდებულო უბედური შემთხვევის დაზღვევა, რომელიც ფარავს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევებისგან გამონაკლის შემთხვევებს. ყველაზე ლიბერალურ პროფესიებში ეს კეთდება პროფესიული გაერთიანებების საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზღვევის ხარჯების ანაზღაურებას.¹⁰⁶ უბედური შემთხვევის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა აქვს, როგორც ფიზიკურად მომუშავე მუშებს ასევე ოფისის თანამშრომლებს. დამსაქმებელი იხდის სადაზღვევო შენატანს საკუთარი მუშებისთვის. თვით დასაქმებულ ადამიანებს შეუძლიათ რომ ნებაყოფლობით მიიღონ უბედური შემთხვევის დაზღვევა პროფესიონალური გაერთიანებებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზღვევას. მათ უნდა იხადონ შესატანი თანხა საკუთარი ხარჯებით.¹⁰⁷ სადაზღვევო პოლისის მფლობელი უბედური შემთხვევის დადგომის შემთხვევაში კომპენსაციას იღებს იმ შემთხვევაში თუ მიზეზობრივი კავშირი არსებობს უბედურ შემთხვევასა და მასზე განხორციელებულ ზიანს შორის.¹⁰⁸

გერმანიაში უბედური შემთხვევა სამუშაო ადგილზე განიმარტება, როგორც მოვლენა რომელიც ხდება დაზღვეულის მიერ თავისი სამუშაოს შესრულების დროს (როგორც წესი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროს) ასევე უბედური შემთხვევა რომელიც ხდება დაზღვეულის გადაადგილების დროს, თუნდაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით. სამსახურში შემოვლითი გზით წასვლის ან დაბუნების დროს მომხდარი უბედური შემთხვევები არ ექვემდებარება

¹⁰⁵European Commission, Your social security rights in France, 19.

¹⁰⁶REGULATIONS ON EMPLOYMENT, INTERNSHIPS AND TRAINEESHIPS INSURANCE IN EU COUNTRIES, 26

¹⁰⁷European Commission. Your social security rights in Germany. European Union 2018, 26.

¹⁰⁸REGULATIONS ON EMPLOYMENT, INTERNSHIPS AND TRAINEESHIPS INSURANCE IN EU COUNTRIES, 26.

დაზღვევას, რაც შეეხება საქმიანი ვიზიტებს, ისინი ექვემდებარება აღნიშნულ დაზღვევას.¹⁰⁹ საინტერესოა ის ფაქტი, რომ გერმანიაში არსებობს უბედური შემთხვევის დაზღვევაზე ორიენტირებული კერძო სადაზღვევო კომპანია, რომელიც გერმანიის ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების უმეტესობას ემსახურება. სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების პროფილაქტიკის კუთხით მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე FBG-მ (კომპანიის დასახელება) შეიმუშავა სამი განსხვავებული პროგრამა, აღნიშნულ პროგრამებში რეალიზებულია ისეთი მიდგომები, რომლებიც ხელს უწყობს პრევენციული ზომების ეკონომიკურ სტიმულირებას.¹¹⁰ FBG - ის მიდგომების მიხედვით:

1. მერყევი სადაზღვევო პრემიის პროგრამაში ჩართულ კომპანიას, შესაძლოა დაუბრუნდეს წლიური საწევრო პრემიის 10 %-მდე იმის მიხედვით, თუ რამდენი უბედური შემთხვევა აღინიშნა ამ საწარმოში გასული წლის განმავლობაში.
2. ფასდაკლებათა პროგრამა ზემოთ აღწერილის მსგავსისა, ტუმცა შედეგების მდგრადობას უზრუნველყოფს. თუ უბედური შემთხვევების რაოდენობა ხუთი წლის განმავლობაში დარგის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით უფრო დაბალია, კომპანია ღებულობს წლის საწევრო პრემიის დამატებით 5%-მდე ფასდაკლებას.
3. დაფინანსების პროგრამა, რომელიც ეხმარება კომპანიებს მომავალში შესაძლო უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების ტავიდან არიდებაში. კომპანიის მიერ სათანადო პროფილაქტიკური ზომების დანერგვა შესაძლებელია FBG-ის მიერ დაფინანსდეს წლიური საწევრო პრემიის 5%-მდე ოდენობით.¹¹¹

9.5 გაერთიანებული სამეფო

ჯანდაცვა გაერთიანებულ სამეფოში არის დეცენტრალიზირებული საკითხი, ინგლისთან, ჩრდლოეთ ირლანდიასთან, შოტლანდიასთან და უელსთან. თითოეულ მათგანს აქვს საჯაროდ დაფინანსებული საკუთარი ჯანდაცვის სისტემა და ამავდროულად პასუხიმგებლობა არის დანაწევრებული მთავრობებსა და

¹⁰⁹European Commission, Your social security rights in Germany, 26.

¹¹⁰ ILO, Employment injury Benefits, 17.

¹¹¹ ILO, Employment injury Benefits, 17.

პარლამენტებს შორის, და ეს დანაწევრება ერთ სექტორთან ერთად ქმნის უკვე ნებაყოფლობით დაზღვევის სისტემას. იმის შედეგად რომ ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი საკუთარი პრიორიტეტები და პოლიტიკა დაზღვევის მთელი რიგი განსხვავებება არსებობს სისტემებს შორის.¹¹²

საწარმოო ტრამვების კომპენსაციის სქემა, აფინანსებს მხოლოდ მათ ვინც ხელშეკრულების საფუძველზე სხვასთან არიან დასაქმებულები. ხოლო თვითდასაქმებული ადამიანები არ იმყოფებიან აღნიშნული კომპენსაციის სქემის ქვეშ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრიტანეთში 25 მილიონი ადამიანია ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული და მათ კომპენსაციას დაზღვევა თარავს. ხოლო 4 მილიონი ადამიანი, რომელიც თვითდასაქმებულია არ ექვემდებარება დაზღვევას.¹¹³ ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულები დაზღვევას ექვემდებარებიან სამუშაოს დანაწევრების პირველი დღიდან.¹¹⁴

ბრიტანეთის ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახური უზრუნველყოფს მომსახურეობას, რომელშიც შედის საავადმყოფოები, ოჯახის ექიმები, სტომატოლოგები, თვალის ექიმები და სასწრაფო დახმარება. ყველა მომსახურეობა არ არის გადასახადისგან თავისუფალი. იქამდე სანამ განთავისუფლდებიან პაციენტები იხდიან ფიქსირებულ ხარჯებს, რეცეპტებზე, მხედველობით ტესტზე, სტომატოლოგებთან. საავადმყოფოს მკურნალობა სასწრაფო დახმარების სამსახური და სამედიცინო კონსულტაციები უფასოა.¹¹⁵

9.6 შვეიცარია

ყველა ადამიანი შვეიცარიაში დაზღვეულია სავალდებულო სოციალური დაზღვევით, რომელიც თარავს, სამუშაოზე მომხდარ უბედურ შემთხვევებს და ავადმყოფობებს. გარდა ამისა, ყველა დასაქმებული შვეიცარიაში დაზღვეულია უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევით, რომელიც არ მოიცავს მხოლოდ სამუშაოდან გამომდინარე მომხდარ უბედურ შემთხვევას. აღნიშნული

¹¹²REGULATIONS ON EMPLOYMENT, INTERNSHIPS AND TRAINEESHIPS INSURANCE IN EU COUNTRIES, 62.

¹¹³R. Lewis. Employers' Liability and Workers' Compensation: England and Wales, 144.

¹¹⁴R. Lewis. Employers' Liability and Workers' Compensation: England and Wales, 145.

¹¹⁵REGULATIONS ON EMPLOYMENT, INTERNSHIPS AND TRAINEESHIPS INSURANCE IN EU COUNTRIES, 59.

დაზღვევით, ასევე უზრუნველყოფილია ის უბედური შემთხვევებიც, რომელიც შეიძლება მოხდეს სამსახურში მიმავალ და უკანა გზაზე. იმისთვის, რომ დასაქმებულები დაზღვეულ იყვნენ ისეთი უბედური შემთხვევებისგან, რომელიც უშუალოდ სამსახურიდან არ არის გამომდინარე, მათ უნდა იმუშაონ კვირაში მინიმუმ რვა საათი თავიანთ დამსაქმებლებთან.¹¹⁶ იმ დასაქმებულებისთვის, რომლებიც მუშაობენ რვა საათზე ნაკლებს კვირაში, სამუშაოდან გამომდინარე უბედური შემთხვევის დროს, კომპენსაციას მიიღებენ ავადმყოფობის დაზღვევით. თვითდასაქმებული ადამიანებს, რომლებიც არ არიან სამსახურში, არ აქვთ უბედური შემთხვევის დაზღვევის აღების ვალდებულება, რაც ნიშნავს იმას, რომ პროფესიული და არაპროფესიული უბედური შემთხვევების შედეგად გამომდინარე ზიანის დაფარვა მოხდება ჯანმრთელობის დაზღვევით.¹¹⁷

9.7 ფინეთი

ფინეთში ყველა დასაქმებული დაზღვეულია უბედური შემთხვევის დაზღვევით. მუშაობის დანების პირველი დღიდანვე. საწარმოო ტრამვებს დაზღვევა ხდება კერძო სადაზღვევო კომპანიების საშუალებით. სახელმწიფო ხაზინა უზრუნველყოფს მთავრობის თანამშრომლების კომპენსაციას.¹¹⁸ დამსაქმებლებს კანონი ავალდებულებს დააზღვიოს სამსახურში, საკუთარი თანამშრომლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. სამსახურიდან გამომდინარე უბედური შემთხვევების დაზღვევის კანონს აქვს მეტი პრიორიტეტი, ვიდრე სოციალური დაზღვევის სისტემას. უბედური შემთხვევების დაზღვევას ფინანსდება დამსაქმებლების მიერ შეტანილი პრემიებით. საწარმოო უბედური შემთხვევების კომპენსაციის ფარგლები საკმაოდ ფართოა და კომპენსაციის დონე საკმაოდ მაღალია, რის შედეგადაც, ყველა ხარჯის თითქმის 100% დაფარვა ხდება.

¹¹⁶ETH. Zurich. Accident insurance SUVA and additional insurance AXA Winterthur. December 2018. Available.: https://www.ethz.ch/content/dam/ethz/associates/services/Anstellung-19Arbeiten/Downloads/files/infos/Information_sheet_Accident_insurance_SUVA_and_additional_insurance_AXA_Winterthur.pdf (24.06.2019)

¹¹⁷REGULATIONS ON EMPLOYMENT, INTERNSHIPS AND TRAINEESHIPS INSURANCE IN EU COUNTRIES. 61.

¹¹⁸REGULATIONS ON EMPLOYMENT, INTERNSHIPS AND TRAINEESHIPS INSURANCE IN EU COUNTRIES. 22.

უბედური შემთხვევის დაზღვევი ორგანოები ასევე, უზრუნველყოფენ კონსულტაციებს უბედური შემთხვევები პრევენციის მიზნით.¹¹⁹

ისევე, როგორც გერმანიაში, ფინეთშიც არსებობს გარკვეული მიდგომები, რომლებიც ხელს უწყობს პრევენციული ზომების ეკონომიკურ სტიმულირებას. 1997 წლიდან ფინეთის საფერმო მეურნეობაში უბედური შემთხვევების დაზღვევის ფარგლებში დარეგულირდა სადაზღვევო პრემიაზე ფასდაკლების ახალი პროგრამა (MATA პრემია) თვითდასაქმებული ფერმერებისა და მეთევზეებისათვის.¹²⁰ ამ პროგრამის მიხედვით:

1. დაზღვეული პირები, რომელთაც ბოლო 12 თვის მანძილზე არ ჰქონიათ სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევის ან პროფესიული დაავადებების არც ერთი შემთხვევა, ირებენ პრემიის 10%-იან ფასდაკლებას;
2. მსგავსი ინციდენტების გარეშე გასული ყოველი შემდგომი წლის შემდეგ ფერმერები ირებენ დამატებით 10 %-იან შეღავათს სადაზღვევო პრემიის 50 %-მდე ფასდაკლების დაერთო ოდენობით, თუ ზემო აღნიშნული ინციდენტები არ დაფიქსირდება ზედიზედ 5 წლის განმავლობაში.¹²¹

კომპენსაციის შესახებ თითოეული დაკმაყოფილებული მოტხოვნა იწვევს ფასდაკლების 10%-ით შემცირებას, თუმცა სადაზღვევო პრემიის ოდენობა არასდროს იმეტებს საბაზისო განაკვეთის ზემოთ, მათ შორის მაშინაც კი, როდესაც მრავლობითი განაცხადების გამო ინდივიდუალური დისკონტირების მაჩვენებელი უარყოფით მნიშვნელობას ირებს. სადაზღვევო პრემიაზე დანესებული ეს შერავათები ახდენს ფერმერებისა და მეთევზეების სტიმულირებას, ტავიდან აირიდონ საწარმოო ტრამეების შემთხვევები.¹²²

10 დასაქმებულთა დაზღვევა აზიაში

აზიაში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების გამო დაზღვევა ძალაში შევიდა მე-20 საუკუნეში. მუშაკთა დაზღვევა საწარმოო ტრამეებისგან ბევრ ქვეყანაში ითვლებოდა სოციალური

¹¹⁹World Health organization. National Profile of occupational Health System in Finland.2012. 13.

¹²⁰ ILO, Employment injury Benefits,18.

¹²¹ ILO,Employment injury Benefits,18.

¹²² ILO, Employment injury Benefits,18.

დაცვის პირველ მექანიზმად.¹²³ სანცის ეტაპზე დაზღვევა მოქმედებდა იმ დასაქმებულ პირებზე, რომლებიც მუშაობდნენ მაღალი რისკის სანარმოებში. შემდგომ ეტაპზე, კომპენსაცია გაფართოვდა და მიაღწია უნივერსალურ დაფარვას ყველა დასაქმებულისათვის. ბევრმა ქვეყანამ გააფართოვა დაფარვის ფარგლები, თუმცა, დღესდღეობით კიდევ არის მუშათა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც არ არიან სოციალური დაცვის ქვეშ.¹²⁴ მაგალითად ტაილანდში დასაქმებულთა დაზღვევის ფონდი ფარავს, სანარმოებს ერთი ან ერთზე მეტი დასაქმებულით, გარდა სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მეცხოველეობის თანამშრომლებისა, რომლებსაც არ აჰყავთ თანამშრომლები მთელი წლის განმავლობაში. ცენტალური, პროვინციული და ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაცია, არაკომერციული ორგანიზაციის თანამშრომლები. სახელმწიფო კომპანიების თანამშრომლები. კერძო სკოლის მასწავლებლები და დირექტორები.¹²⁵

სოციალურ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, აზიის უმეტეს ქვეყნებში მუშაკთა დაზღვევა სანარმოო ტრამპებისგან არის სავალდებულო, ისევე, როგორც ევროპის უმეტეს ქვეყნაში. თუმცა ჩვეულებრივი თანამშრომლები ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ინდოეთი და კამბოჯა არ არიან მთლიანად დაზღვეული, იქიდან გამომდინარე, რომ, სოციალური დაცვის სქემები წარმატებით ვერ განხორციელდა ქვეყნის ყველა ნაწილში. თვით-დასაქმებულები ადამიანები არ არიან გათვალისწინებული სოციალური დაზღვევის სქემაში.¹²⁶

აზიის ქვეყნებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მაღაიზიას აქვს მუშათა კომპენსაციის განვითარებული კარგი პრაქტიკა. მაღაიზიის სოციალური დაცვის ორგანიზაცია (SOCISO) წარმოადგენს მთავარ საჯარო დანებსებულებას, რომელიც უზრუნველყოფს სანარმოო ტრამპების დაზღვევის სქემას. სოციალური დაცვის ორგანიზაცია ავსებს მუშაკთა დაზღვევის სქემებს ისეთი უზრუნველყოფით როგორცაა, პროფესიული უსაფრთხოებისა და

¹²³Comparative Analysis of Employment Injury Insurance (ELL) and Employment Injury Insurance (ELL) in Asia and the Pacific region. 1.

¹²⁴Comparative Analysis of Employment Injury Insurance (ELL) and Employment Injury Insurance (ELL) in Asia and the Pacific region.1.

¹²⁵Country Report. Employment Injury Insurance in Thailand. 2011.1.

¹²⁶Comparative Analysis of Employment Injury Insurance (ELL) and Employment Injury Insurance (ELL) in Asia and the Pacific region. 2.

ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა, ჯანმრელობის გამოკვლევის პროგრამა და რეაბილიტაციის შედეგად სამსახურში დაბრუნების პროგრამა.¹²⁷ სოციალური დაცვა მაღაიზიაში კლასიფიცირებულია ორ კატეგორიად: სოციალური უსაფრთხოება და სოციალური დაზღვევა. სოციალური უსაფრთხოება მოიცავს სოციალურ დაცვას თანამშრომლების ორი ძირითადი ჯგუფისთვის: სახელმწიფო მოხელეები და კერძო სექტორის თანამშრომლები. სოციალური დაზღვევა უზრუნველყოფს სამუშაოსთან დაკავშირებულ კომპენსაციას.¹²⁸ დასაქმებულთა საწარმოო ტრამვის დაზღვევა, უზრუნველყოფს სამედიცინო, დროებითი შრომისუნარობის, მუდმივი შრომის უუნარობის, რეაბილიტაციისა და გარდაცვალება/დაკრძალვის დახმარებას. შემწეობის გადახდა ხდება პერიოდული გადახდის სისტემით. დასაქმებულთა საწარმოო ტრამვისგან დაზღვევა უზრუნველყოფს პირებს, სამსახურში მიმავალ და უკანა გზაზე მომხდარი უბედური შემთხვევების დაზღვევისგანაც.¹²⁹

მაღაიზიის სოციალური დაცვის ორგანიზაციის სტრუქტურა იცავს დამსაქმებლებს, უბედური შემთხვევების დროს გამოწვეული კატასტროფული ფინანსური შედეგებისგან. მას აქვს, პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა და ჯანსაღი ცხოვრების წესის კამპანია, იმისთვის, რომ შეამციროს სამუშაოდან გამოწვეული უბედური შემთხვევები და შესაბამისად შეამციროს საწარმოო უბედური შემთხვევის დაზღვევის ხარჯები. მუშათა დაზღვევის საკითხი საინტერესოდ რეგულირდება ასევე ინდოეთში, ისეთ საწარმოებში და კომპანიებში სადაც 20-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობს მოქმედებს 1948 წლის დასაქმებულთა სახელმწიფო დაზღვევის აქტი. ამ აქტის მიხედვით დასაქმებულები და კომპანია იხდიან დაზღვევის გადასახადს დაზიანების შემთხვევაში. სამუშაო ადგილზე გამოწვეული ტრამვის შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია სამედიცინო და ფინანსური დახმარების მიღება. ისეთ ბიზნესში სადაც დასაქმებულთა რიცხვი 20-ზე ნაკლებია, დამსაქმებლები და კომპანია უნდა დაეყრდნოს 1923 წლის დასაქმებულთა კომენსაციის აქტს. ეს აქტი ხაზს უსვამს სამსახურში დასაქმებულთა საწარმოო ტრამვის კომპენსაციის

¹²⁷ Global Programme Employment Injury Insurance and Protection | GEIP.7.

¹²⁸ Social Security Organization Malaysia Country Report. 2010. 1

¹²⁹ Social Security Organization Malaysia Country Report. 1.

¹²⁹ Comparative Analysis of Employment Injury Insurance (ELL) and Employment Injury Insurance (ELL) in Asia and the Pacific region. 2010. 4.

მეთოდების უზრუნველყოფას. 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილების აქტით სავალდებულო გახდა, რომ დამსაქმებლებს დასაქმებულებისთვის ინფორმაცია მიწოდებინათ 1923 წლის აქტის საფუძველზე საკუთარი უფლებების არსებობის შესახებ, მათთვის გასაგებ ენაზე, ელექტრონულად ან წერილობითი ფორმით. იმ შემთხვევაში თუ ისინი ამ წესს დაარღვევენ, დამსაქმებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდის პასუხისმგებლობა.¹³⁰

11 დასაქმებულთა დაზღვევა ამერიკაში

ამერიკის მიდგომა დასაქმებულთა დაზღვევის მიმართ საკმაოდ საინტერესოა. მუშების კომპენსაცია ეს არის დამსაქმებლის მიერ გადახდილი გადასახადი უბედური შემთხვევის დაზღვევისთვის. იმ შემთხვევაში თუ დასაქმებული დაზიანდება სამსახურში ან პროფესიულ დაავადებას მიიღებს, მუშაკთა საკომპენსაციო თანხით მოხდება სამედიცინო ხარჯების დაფარვა და თუ ის ვერ შეძლებს მუშაობას, ასევე მოხდება ხელფასის ანაზღაურება, იქამდე სანამ დაუბრუნდება ის დაუბრუნდება თავის სამუშაო ადგილს. ამ დაფარვის სანაცვლოდ დასაქმებულებს აკრძალული აქვთ, რომ უჩივლონ საკუთარ დამსაქმებლებს სამუშაოდან გამონეული დაზიანებების, ავადმყოფობის ან სიკვდილის შემთხვევაში. მუშაკთა კომპენსაცია ექსკლუზიური საშუალებაა დამსაქმებულებისათვის. დამსაქმებლები დაცულნი არიან მათ წინააღმდეგ სარჩელის შეტანისგან. მაგრამ ისინი ყველა შემთხვევაში ვალდებული არიან გადაიხადონ განსაზღვრული სარგებელი, მიუხედავად მათი ბრალისა და პასუხისმგებლობისა.¹³¹

გადასახადის გადახდა ჩვეულებრივ ხდება სადაზღვევო კომპანიის ან სახელმწიფო მოხელეთა კომპენსაციის ფონდის მიერ. ის ასევე უზრუნველყოფს გადასახადს იმ შემთხვევაში თუ ადამიანი იღუპება სამუშაოს შედეგად

¹³⁰A. Shah, INDIA BRIEFING, Workplace Injury Compensation in India – What Business Need to know, 24 April 2019, Available: <https://www.india-briefing.com/news/workplace-injury-compensation-india-11077.html>/ბოლოს წვდომა : 21.06.2019

¹³¹ D, Scott, Worker's Compensation: overview and Issue, 2017,1.

გამონწვეული დაზიანების შედეგად. იმ შემთხვევაში თუ დასაქმებული მუშაობს კერძო კომპანიაში და მიიღებს დაზიანებას მან უნდა მიმართოს შტატის კომპენსაციის საბჭოს. ამერიკის შრომის დეპარტამენტი არ აფინანსებს დასაქმებულებს, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების ურთიერთობაში იმყოფებიან კერძო დამსაქმებელთან.¹³²

თითქმის ყველა მუშა და დასაქმებელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ექვემდებარებიან კომპენსაციას. ტეხასის გარდა ყველა შტატს აქვს სავალდებულო დაზღვევა. 2015 წელს, 135 მილიონზე მეტი მუშაკი აღრიცხულ იქნა, 7.1. ტრილიონი დოლარის ოდენობის ხელფასით, რომელიც ფედერალურ მუშაკთა კომპენსაციის სისტემის მიერ იქნა დაფარული.¹³³ როგორც აღვნიშნეთ, ამერიკაში ყველა თანამშრომელს არ არის დაზღვეული მუშაკთა სახელმწიფო დაზღვევით. ზოგიერთი თანამშრომლის კომპენსაციის დაფარვას ახორციელებს აშშ-ის შრომის დეპარტამენტი (DOL). კერძოდ, DOL- ის მუშაკთა კომპენსაციის პროგრამების ოფისი (OWCP), რომელიც, ახორციელებს ინვალიდობის კომპენსაციის ოთხ სხვადასხვა პროგრამას, ისინი უზრუნველყოფენ ხელფასის ჩანაცვლებას სარგებლით, ფედერალური თანამშრომლებისთვის, (ასევე მათ დამქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს) სამუშაოდან გამონწვეული ტრამვის ან პროფესიული დაავადების შემთხვევაში. პროგრამა მოიცავს, მედიკამენტებით მკურნალობას, პროფესიული რეაბილიტაციას და სხვა შეღავათებს. OWCP-ის დანარჩენი პროგრამებია, ენერჯეტიკის თანამშრომლების პროფესიული დაავადების კომპენსაციის პროგრამა, ფედერალური თანამშრომლების კომპენსაციის პროგრამა, მტვირთავთა და ნავსადგურის თანამშრომელთა კომპენსაციის პროგრამა და „შავი ფილტვის“ ბენეფიტების პროგრამა, რომელიც ემსახურება კონკრეტულ დასაქმებულ ჯგუფებს, აღნიშნული პროგრამები რეგულირდება შესაბამისი კანონებისა და წესების შესაბამისად, იმისთვის, რომ უზრუნველყოს ის ფინანსური

¹³² Worker's Compensation, U. S. DEPARTMENT OF LABOR. An official website of the United States government, Available:

https://www.dol.gov/general/topic/disability/workerscompensation?fbclid=IwAR1qM87_kURNy5npPcSjNACnqnWUc5lYqvOQSHIdeWzg5lrf4UPF6c6CPs (20.05.2019)

¹³³ Scott, Worker's Compensation: overview and Issue,1.

ტვირთი, რომელსაც ინვეს, სამუშაო ადგილზე, უბედური შემთხვევებისგან გამონწვეული დაზიანებები.¹³⁴

სავალდებულო დაზღვევა არის მუშების კომპენსაციის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი და ტრადიციულად თითოეულ შტატს ტეხასის გარდა სჭირდებათ დასაქმებულთა კომპენსაციის სისტემაში მონაწილეობის მიღება. 2013 წელა ოკლაჰომამ (შტატი ამერიკაში) ნებართვა დართო დამსაქმებლებს, რომ უარი ეთქვათ დასაქმებულთა კომპენსაციაზე და მიეღოთ სხვა ალტერნატიული გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა მათთვის სარგებლის მიცემას. ადვოკატების მტკიცებით დამსაქმებლებისთვის ნების დართვა, რომ უარი ეთქვათ აღნიშნულ კომპენსაციის სისტემაზე, პირიქით მეტ მოწინააღმდეგე მოუტანდა მუშაკათათვის სარგებლის მიცემას. ისინი უფრო მეტი შეღავათებით ისარგებლებდნენ და დამსაქმებლების ხარჯები და გადასახადები მინიმუმამდე შემცირდებოდა. აღნიშნულ საკითხმა შემოფოთებაც გამოიწვია, იქიდან გამომდინარე, რომ მუშათა კომპენსაციაზე უარის თქმა ვერ დაიცავდა მუშებს. ოკლაჰომას კანონმდებლობა არაკონსტიტუციურად იმართავდა სახელმწიფოს შტატის უზენაესის სასამართლოს მიერ. მის მიერ გატარებული ცვლილებები ჯერ კიდევ არ არის წარმატებული სხვა შტატებში. უკვე მეორე საუკუნეა, რაც სავალდებულო დაზღვევა ისევ რჩება მუშათა კომპენსაციის ძირითად პრინციპად.¹³⁵

12 სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

სავალდებულო (კანონით) სოციალური დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის სოციალური დაცვის ინსტიტუტს, შემოსავლების (ხელფასი) დაკარგვის რისკებისგან, შრომის უნარის შემლუღვის (ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, სიბერე) დროს. ფინანსური წყარო დამსაქმებლების, დასაქმებულების (ზოგჯერ სახელმწიფოს) სადაზღვევო შენატანებია, რომლებსაც განაპირობებს სოლიდარული ურთიერთდახმარების პრინციპი. გამონაკლისს წარმოადგენს საწარმოში, უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული სადაზღვევო

¹³⁴ Worker's Compensation, U. S. DEPARTMENT OF LABOR, An official website of the United States government. Available: https://www.dol.gov/general/topic/disability/workerscompensation?fbclid=IwAR1qM87_kURNyv5npPcSjNACnqnWUc5YIqvOQSHIdeWzg5Irf4UPF6c6CPs (27. 06. 19)

¹³⁵ Scott, Worker's Compensation: overview and Issue,25.

სისტემები, რომლებიც ფინანსდებიან მხოლოდ დამსაქმებლების შენატანების ხარჯზე.¹³⁶

დასაქმებულთა დაზღვევა სანარმოო ტრამვისგან და უბედური შემთხვევისგან, როგორც კვლევა გვიჩვენებს უმეტეს ქვეყნებში სავალდებულოა. საქართველოში დასაქმებულთა დაზღვევა 2019 წლის პირველი იანვრიდან გახდა სავალდებულო. სახელმწიფო ავადებულებს დამსაქმებლებს, რომ დააზღვიონ საკუთარი მუშების ჯანმრთელობა და სიცოცხლე, უბედური შემთხვევისგან. დაზღვევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებაში და საჯარო პოლიტიკაში. დაზღვევა შეიძლება კლასიფიცირებული იყოს ორ ფართო კატეგორიად: სავალდებულო (საჯარო) დაზღვევა და ნებაყოფლობითი დაზღვევა (კერძო). ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვიტონ აიღებენ თუ არა ნებაყოფლობით დაზღვევას, მაგრამ მათ არ შეუძლიათ უარი თქვან სავალდებულო დაზღვევის მიღებაზე.¹³⁷ სავალდებულო დაზღვევა, ეს არის მთავრობის რეგულირება, მოსთხოვოს პირებს ან/და ორგანიზაციებს შეიძინონ შესაბამისი სადაზღვევო დაფარვის მინიმალური დონე, როგორცაა მაგალითად სავალდებულო საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევა.¹³⁸ ნებაყოფლობითი დაზღვევა ჩვეულებრივ უზრუნველყოფილია კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ.

სახელმწიფო მონოპოლიების მხარდამჭერები მიმართავენ "ბაზრის უკმარისობის" პრობლემას, რომელიც შეიძლება გაჩნდეს დასაქმებულთა დაზღვევის სისტემაში. ისინი ამტკიცებენ, რომ კერძო კომპანიებმა შეიძლება გაზარდონ ინდივიდუალური დამსაქმებლების კომპენსაციის ტარიფი მოგების მისაღებად. ამის მიზეზი ისაა, რომ კერძო დაზღვევის დროს სადაზღვევო კომპანიას შეუძლია შეარჩიოს ისეთი კომპანიები, რომლებთაც გააჩნიათ უბედური შემთხვევის დადგომის დაბალი რისკის მაჩვენებლები, აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო ორგანოს, რომელიც მოქმედებს როგორც სოციალური დაცვის უკანასკნელი თავშესაფარი დააწვება უფრო მძიმე ტვირთი.¹³⁹

¹³⁶ ლ. მელიანი-ფუტკარაძე, სოციალური დაზღვევის როლი მოსახლეობის სოციალური რისკებისგან დაცვაში, 2013, 43.

¹³⁷P. Zhang, M. Palma, Compulsory versus Voluntary Insurance: A real Experiment. 1.

¹³⁸B. Chen. The Review and Analysis of Compulsory insurance. 6.

¹³⁹I. Shin, J. Byoung, Oh. H. Kwan Yi, Workers' Compensation Insurance and Occupational Injuries, 2011. .148-157

მეორე მხრივ, კერძო სადაზღვევო სისტემის მხარდამჭერები აცხადებენ, რომ ბაზარზე სადაზღვევო კომპანიების შემოსვლა ეფექტური იქნება და შეამცირებს სადაზღვევო მომსახურების ნებისმიერი დონის ხარჯებს.¹⁴⁰ არგუმენტი ისაა, რომ სახელმწიფოსთან შედარებით, კერძო დაზღვევის სისტემა უფრო ეფექტურად მოემსახურება დაზღვეულს და შესთავაზებს მის ინტერესებზე მორგებულ და ხელსაყრელ პირობებს.

საქართველოს მაგალითის შემთხვევაში, სახელმწიფომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის“ საფუძველზე დაავალდებულა დამსაქმებელლები, რომ უზრუნველყონ საკუთარი დასაქმებულები უბედური შემთხვევისგან. მოცემულ შემთხვევაში, მართალია დაზღვევა არის სავალდებულო ყველა კომპანიისთვის, რომელიც ახორციელებს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან საქმიანობას, თუმცა სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მათ დაზღვევას. კომპანიები ვალდებული არიან შეიძინონ დაზღვევა კერძო სადაზღვევო კომპანიებში. აღნიშნული დაზღვევა ისევე, როგორც ნებაყოფლობითი დაზღვევა შეზღუდულია დაზღვევის ვადით, დაზღვევის უწყვეტობის უზრუნველყოფა შესაძლებელია, ხელშეკრულების ახალი ვადის გაგრძელებით. პირობები რეგულირდება დამზღვევის მიერ შემუშავებული წესებით. გარდა ამისა დაზღვევის პირობების მიხედვით მოქმედებენ ხელშეკრულების დადების შეზღუდვები.

საწარმოო უბედური შემთხვევის დაზღვევის სავალდებულო გახდომა სახელმწიფოს მხრიდან უნდა ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ქმედებით შესაძლებელი გახდება დამსაქმებელთა დაცვა მოსალოდნელი საფრთხისგან და ასევე ეს ყოველივე გამოიწვევს მათი შრომითი უფლებების გაუმჯობესებას და წახალისებას. აღნიშნული დაზღვევის სავალდებულო ხასიათი მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოები და კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს გვერდს ვერ აუვლიან კანონის დანაწესს. საქართველოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ნებაყოფლობით თითქმის

¹⁴⁰ Butler RJ, Worrall JD. The costs of workers' compensation insurance: private versus public, J Law Econ, 1986; 329–356.

არცერთი კომპანია არ დააზღვევდა საკუთარ თანამშრომლებს და სანამ უბედური შემთხვევის წინაშე არ დადგებოდნენ, იქამდე თავს აარიდებნენ ზედმეტ დანახარჯებს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე უნდა ითქვას, რომ დასაქმებელთა სავალდებულო და ნებაყოფლობით დაზღვევას აქვს განსხვავებული ეფექტი, მუშებისთვის და დამსაქმებლებისთვის. როგორც ნებაყოფლობით ასევე სავალდებულო დაზღვევას უნდა ითქვას, რომ აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ჩვენ გვჭირდება საფუძვლიანი გამოკვლევა იმისთვის, რომ გავიგოთ, რეალურად, რომელი სისტემა უფრო შეძლებს, რომ შეამციროს საწარმოო უბედური შემთხვევები და პროფესიული დაავადებები.¹⁴¹

14. საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც დავის საგანს წარმოადგენს საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საინტერესოა, იმის განხილვა თუ როგორ წყვეტს მოცემული ტიპის დავებს სასამართლო, რამდენად რთულდება დამსაქმებლისთვის საქმე, როდესაც მასთან დასაქმებული მუშაკი იღებს საწარმოო ტრავმას და სასამართლოს წესით ითხოვს ზარალის ანაზღაურებას. საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებულ ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს აწესრიგებს სპეციალური ნორმა.: 2007 წლის 24 მარტს, საქართველოს მთავრობის N53 დადგენილებით, დამტკიცდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი“. არსებული სასამართლო პრაქტიკით, პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი საწარმოო ტრავმად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პროცესშია მიყენებული. სამსახურეობრივ მოვალეობად შეიძლება ჩაითვალოს პირისთვის ნორმატიული აქტის, შრომის

¹⁴¹I. Shin, J. Byoung, Oh. H. Kwan Yi. Workers' Compensation Insurance and Occupational Injuries, 2011, 148-157.

ხელშეკრულების ან ადმინისტრაციის დავალების საფუძველზე დაკისრებული მოვალეობები.¹⁴²

საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის N2ბ/2583 განჩინება

განვიხილოთ, საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის N2ბ/2583 განჩინება, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთმა მუშამ, რომელიც მუშაობდა რკინიგზის მემანქანედ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მიიღო საწარმოო ტრავმა, მას შრომითი დასახიჩრების გამო უვადოდ დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობის 80 %. საწარმოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა თვეში 880 ლარის გადახდა. მემანქანის ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 1100 ლარს, ხოლო 2012 წლის აპრილიდან 1250 ლარს. ხელფასის გაზრდის შემდგომ მემანქანებ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა მიღებული სარჩოს დაკისრების მოთხოვნით, კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა მიუღებელი სარჩოს სხვაობის 693.31 ლარის 2013 წლის იანვრის თვიდან ყოველთვიურად მემანქანის დაწესებული ხელფასის 80%-ის 1000 ლარის, დაკისრება შემდეგ გარემოებათა გამო. მოსარჩელე მუშაობდა მემანქანედ, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მიიღო ტრავმა, რის გამოც 2011 წლის 01 სექტემბრიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად იღებდა სარჩოს 880 ლარს. მოპასუხემ აღნიშნული სარჩელი არ ცნო, მან განაცხადა, რომ სარჩოს გადაანგარიშების წესს კანონი არ ითვალისწინებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება, იმის შესახებ რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სარჩოს გადაანგარიშების წესს და ხელფასის ცვლილების შესაბამისად სარჩოს დანიშვნას.

¹⁴² WEEKEND. საწარმოო ტრამვის შედეგად ზიანის ანაზრაურება. 19.10.2009. ხელმისაწვდომია : <http://24blog.ge/weekend/story/477-satsarmoo-travmis-shedegad-miyenebuli-zianis-anazghaureba> (25.06.2019)

მოპასუხე მხარემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და უცვლელად დატოვა იგი.

“სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.”¹⁴³ “პალატა მიიჩნევს, რომ სწორედ დასახელებულ ნორმათა შინაარსი აძლევს მოსარჩელეს სამართლებრივ საფუძველს, რომ მოითხოვოს სარჩოს გადახდევინება გაზრდილი ხელფასის შესაბამისად, რამდენადაც ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების – საწარმოო ტრავმის არარსებობის და შრომის უნარის შენარჩუნების პირობებში, მოსარჩელე მიიღებდა გაზრდილ ხელფასს. პალატა მიიჩნევს, რომ ამ დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობისაა თავად ის გარემოება, რომ მუშაკმა მიიღო სხეულის დაზიანება საწარმოო ტრავმის შედეგად და მას წაერთვა პროფესიული შრომის უნარი 80%-ით სამუდამოდ.”¹⁴⁴ “პალატა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომა, პირს ართმევს შესაძლებლობას, ჰქონდეს სამუშაო და იღებდეს შესაბამის ანაზღაურებას. ამასთან, სარჩოს მიღებისუფლება წარმოადგენს პირის შესაძლებლობას, აუნაზღაურდეს ზიანი, რაც მიიღო საწარმოო ტრავმის სახით. ამასთან, სარჩოს მიღებით ხდება პირისათვის შემოსავლის მიღების უზრუნველყოფა საწარმოო ტრავმის არარსებობის პირობებში შესაძლო შრომის

¹⁴³ საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის N 2ბ/2583-13 განჩინება.

¹⁴⁴ საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის N 2ბ/2583-13 განჩინება.

ანაზღაურების შესაბამისად. თავად ის გარემოება, რომ საწარმოო ტრავმის მიღების გამო მოსარჩელემ დაკარგა სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ, წარმოშობს საფუძვლიან და კანონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოო ტრავმის არმიღების შემთხვევაში, მუშაკი განაგრძობდა მუშაობას და რომ იგი მიიღებდა გაზრდილ ხელფასს.”¹⁴⁵

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, იქიდან გამომდინარე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან საკითხებს სწორი შეფასება მისცა და მიიღო არსებითად სწორი გადაწყვეტილება.

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის N ას- 1919-2018 განჩინება

მომდევნო ეტაპზე განვიხილოთ, უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის N ას- 1919-2018 განჩინება. აღნიშნული საქმე საკმაოდ საინტერესოა, თავისი აქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, იმ ქარხნის წინააღმდეგ სადაც ის მუშაობდა 2011 წელს, მოსარჩელემ მოითხოვა მენჯ-ბარძაყის პროთეზის განახლების ღირებულების 44 590 ლარის და ასევე პროთეზის საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ, აღნიშნული პროთეზის განახლების ღირებულების ანაზღაურება. ფაქტობრივი გარემოებებიდან როგორც ირკვევა მოსარჩელე მუშაობდა აღნიშნული ქარხნის ერთ-ერთ საამქროში სადაც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მიიღო საწარმოო ტრავმა, რის შედეგადაც მან დაკარგა მარჯვენა ქვედა კიდური. 2013

¹⁴⁵ საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის N 2ბ/2583-13 განჩინება.

წელს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელისთვის ზიანის ანაზღაურება, ზიანი მოიცავდა საზღვარგარეთ მკურნალობისა და პროთეზის თანხას- 166 941 ლარს, სარჩოს სახით 756 ლარის ყოველთვიურად გადახდას, განუელი სამედიცინო ხარჯის - 105 ლარისა და მორალური ზიანის - 50 000 ლარის გადახდას, ასევე წარმომადგენლის დახმარებისათვის განუელი 825 ლარისა და ექსპერტიზის დასკვნის ღირებულების 200 ლარის გადახდას. მოპასუხემ დადგენილ ვადაში მოსარჩელეს სრულიად აუნაზღაურა სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა 2013 წლის მარტიდან 2014 წლის მაისამდე, მკურნალობის თანხის მიღების შემდეგ შეიცვალა გარემოება, გერმანიის კლინიკაში სადაც მოსარჩელეს უნდა გაეკეთებინა ხუთ წლიანი გარანტიის მქონდე პროთეზი, ლარის კურსის გამო, გადასარიცხი თანხა აღარ აღმოჩნდა საკამრისი. მოსარჩელე იძულებული გახდა მკურნალობა ჩაეტარებინა თურქეთში და გაეკეთებინა პროთეზი, რომელსაც მხოლოდ ორ წლიანი საგარანტიო ვადა ჰქონდა. ორ წლიანი გარანტია ნიშნავდა, რომ ის მუდმივი არ იყო და რაღაც დროის შემდგომ გაცვდებოდა და პაციენტს შეუქმნიდა პრობლემებს, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდებოდა მისი განახლება. გარკვეული დროის შემდგომ პროთეზმა, მართლაც შეუქმნა მოსარჩელეს პრობლემები, კერძოდ, მას უჭირდა სიარული და პროთეზი მას უზიანებდა რბილ ქოსვილებს. პროთეზის გაანახლება და მკურნალობა საჭიროებდა 44 590 ლარს. მოსარჩელემ განმარტა, რომ ყოველი საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ პროთეზის გაანახლება იქნებოდა საჭირო და მას მრავალჯერ მოუწევდა, რომ მიემართა სასამართლოსთვის.

მოპასუხემ აღნიშნული სარჩელი არ ცნო, ის თვლიდა, რომ უკვე სრულიად ჰქონდა გადახდილი სამკურნალო ხარჯები და შესაბამისად მას აღარ ჰქონდა იმის ვალდებულება, რომ მოსარჩელისთვის კვლავ გადაეხადა თანხა. მოპასუხე ასევე უთითებდა, იმ გარემოებაზე, რომ მისი გადახდილი თანხით დაზარალებულს მკურნალობა უნდა ჩაეტარებინა გერმანიის კლინიკაში, ხოლო მან მკურნალობა თურქეთის კლინიკაში ჩაიტარა, შესაბამისად მას არ მიუძღვოდა ბრალი პროთეზის დაზიანებაში.

ზესტაფონის რაიონული სასამართლომ, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 19 444 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა.

“სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ არსებობდა პროთემის განახლების საჭიროება სხვადასხვა მიზეზის გამო. ექსპერტიზის დაკვნის საფუძველზე მოსარჩელის მომსახურების ღირებულება შეადგენდა 19 444 ლარს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 408-ე მუხლით, 412-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდოა ის გარემოება, რომ პროთემი გარკვეული პერიოდის შემდეგ საჭიროებს შეკეთებას და შეცვლას, რისი ღირებულებაც (პროთემის შეკეთება) შეადგენს 19 444 ლარს. შესაბამისად საფუძვლიანია მოსარჩელის მოტხოვნა აღნიშნული ოდენობის თანხის ანაზღაურების შესახებ.”¹⁴⁶

“რახ შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას-პროთემის საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ საქართველოში ლიცენზირებული საპროთემო-ორთოპედიულ დარგში მომუშავე კლინიკის მიერ მომავალში გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციების საფუძველზე სამომავლო მრავალჯერადი ვალდებულების, აღნიშნული პროთემის განახლების ღირებულების დაკისრების ტაობაზე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელეს იმდენჯერ ეკუთვნის პროთემის განახლებისთვის საჭირო თანხის ანაზღაურება მოპასუხე ორგანიზაციისაგან, რამდენჯერაც ამის საჭიროება დადგება, თუმცა იმ სახით დაყენებული სასარჩელო მოთხოვნას, რაც მოსარჩელემ სასამართლოში წარადგინა, წარმატების პერსპექტივა არ გააჩნია.”¹⁴⁷

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, საკასაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია.

მოცემულ თავში განხილული სასამართლო პრაქტიკის საკმაოდ მნიშვნელოვანი და პრობლემური გადაწყვეტილებები. საინტერესოა, იმ შემთხვევაში თუ

¹⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის №ს-1010-2018 განჩინება .

¹⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის №ს-1010-2018 განჩინება .

მოცემულ დამსაქმებლებს ექნებოდათ უბედური შემთხვევის დაზღვევა, როგორ გადანაცვდებოდა მათი კომპენსაციის საკითხი, იქნებოდა თუარა დაზღვევით ანაზღაურებული კომპენსაცია იმდენად საკამრისი, რომ ისინი აღარ მიმართავდნენ სასამართლოს. საქართველოში დღევანდელ დღეს არსებული სადაზღვევო ლიმიტებით, რათქმაუნდა აბსურდია ამაზე საუბარი და წინასწარ ვერ გავაკეთებთ დასკვნებს, იმის შესახებ თუ როგორ განვითარდება სამომავლოდ ჩვენს ქვეყანაში დასაქმებულთა უბედური შემთხვევის დაზღვევა და რამდენად შეძლებს ის, ზიანით გამონწვეული ხარჯების სათანადო ანაზღაურებას, რადგან დღესდღეობით დამსაქმებელთა უმეტესობა იძენს მინიმალურ სადაზღვევო პაკეტს, იმისთვის, რომ კანონი არ დაარღვიოს და სავალდებულო დაზღვევით დააზღვიოს სანარმოში მომუშავე ადამიანები.

15. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დასაქმებულთა დაცვის მექანიზმები არ არის კარგად შემუშავებული და ჩამოყალიბებული. სანცის ეტაპზე უნდა მოხდეს დასაქმებულთათვის ჯანსაღი სამუშაო პირობების შეთავაზება, რომელიც დაცული იქნება მავნე ფაქტორებისა და უბედური შემთხვევებისგან. კვლევამ, როგორც გვიჩვენა საქართველოში უბედური შემთხვევის დაზღვევა ამ ეტაპზე ვერ ჩაითვლება დასაქმებულთა დაცვის გამართულ მექანიზმად. საკითხის პრობლემურობაზე და აქტუალობაზე მეტყველებს, აღნიშნული თემის მიმართ კანონის ფორმალური ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ უბედური შემთხვევის დაზღვევის შექმნა სავალდებულო გახდა ყველა იურიდიული პირისთვის და ინდ. მენარმისთვისაც, რომლებიც მომეტებული საფრთხის შემცველ სამუშაოებს ანხორციელებენ, აღნიშნული დანაწესი სავალდებულო დაზღვევის შესახებ, მაინც ითვლება ბუნდოვნად, გამომდინარე იქიდან, რომ კანონში არ არის განსაზღვრული მინიმალური სადაზღვევო პაკეტი. მოცემულ ეტაპზე საჭიროა კონკრეტული სადაზღვევო ლიმიტების და სტანდარტების შემოღება და კანონით მისი დარეგულირება. ლიმიტების არარსებობა საშუალებას მისცემს დამსაქმებელს აირჩიოს სადაზღვევო კომპანიის მიერ შეთავაზებული მინიმალური პაკეტი, აღნიშნული

თანხა შესაძლოა ძალიან მცირე იყოს, რადგან დამსაქმებელს აწყობდეს, რომ თავი აარიდოს ზედმეტ ხარჯებს. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო არ განსაზღვრავს კონკრეტულ ლიმიტებს, პრობლემა არ მოგვარდება, იქიდან გამომდინარე, რომ დამსაქმებლის მიერ არჩეული მინიმალური ლიმიტი დასაქმებულს საჭირო კომპენსაციას და დახმარებას ვერ გაუწევს და შესაბამისად ასეთი მინიმალური თანხით მათი დაცვა ვერ მოხერხდება.

საქართველოს კანონმდებლობამ უნდა გაიზიაროს საერთაშორისო გამოცდილებები და სტანდარტები, იმისთვის, რომ უბედური შემთხვევის კომპენსაციის სისტემა, ბოლომდე იყოს მორგებული დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესებს. კვლევამ, როგორც გვიჩვენა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკმაოდ მრავალფეროვანია. საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომლებიც მუშაობენ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან დანესებულებებში. საზღვარგარეთის ქვეყნებში კი, როგორც გამოიკვეთა, სავალდებულო დაზღვევა უფრო ფართო მასშტაბებზე ვრცელდება, კერძოდ, უბედური შემთხვევის დაზღვევას ექვემდებარება ყველა დასაქმებული ადამიანი, იმის მიუხედავად თუ რატიპის სამუშაოს ასრულებს ის.¹⁴⁸ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობა მრავალ საფრთხესთან არის დაკავშირებული, შესაბამისად ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს უბედური შემთხვევა, მათ შორის ისეთ სამსახურებშიც, სადაც დასაქმებული არ ასრულებს მძიმე და საშიშპირობებიან სამუშაოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება თუ კანონმდებლობით სავალდებულო გახდება უბედური შემთხვევისგან საქართველოში არსებული ყველა დასაქმებულის დაზღვევა.

უბედური შემთხვევისგან დასაქმებულთა სავალდებულო დაზღვევის საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს ისეთ მომსახურებებს და პროგრამებს, როგორიც არის საავადმყოფოში მკურნალობა, მედიკამენტების დაფინანსება და დაზარალებულთა რეაბილიტაცია, იმისთვის, რომ გრაკვეული დროის შემდგომ, კვლავ შეძლონ სამსახურში დაბრუნება. საქართველოს

¹⁴⁸ იხ: სქ. 126

კანონმდებლობით აღნიშნული საკითხიც არ არის მოწესრიგებული, აუცილებელია მოხდეს ზუსტი განმარტება, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს უბედური შემთხვევის დაზღვევა, იმისთვის, რომ შეძლოს დასაქმებულთა სრულფასოვანი დაცვა და დამსაქმებლებმა ვერ ისარგებლონ კანონში არსებული ხარვეზებით.

საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა, როგორც გვიჩვენებს ხშირია ისეთი დავები, რომლებიც ეხება საწარმოო ტრამვის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. იმ შემთხვევაში თუ არ დანესდება გონივრული ლიმიტი, რომელიც სათანადო კომპენსაციას გაუწევს დაზარალებულებს, მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების საბოლოო გზად ისევ სასამართლო დარჩება. სავალდებულო უბედური შემთხვევის დაზღვევის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს აღნიშნული სასამართლო დავების შეწყვეტა და დაზარალებულთათვის დაზღვევის საშუალებით სწრაფი და გონივრული კომპენსაციის მიცემა. მეორეს მხრივ აღნიშნული დაზღვევა დამსაქმებლებისთვისაც საკმაოდ ხელსაყრელია, რადგან ისინი თავს აარიდებენ სასამართლო დავებს. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესოა ამერიკის მიდგომა. მუშათა კომპენსაციის სისტემა ექსკლუზიური საშუალება დამსაქმებლებისთვის, რადგან აღნიშნული კომპენსაციის სანაცვლოდ, დასაქმებულებს აკრძალული აქვთ, რომ უჩივლონ საკუთარ დამსაქმებლებს სამუშაოდან გამოწვეული დაზიანებების, ავადმყოფობის ან სიკვდილის შემთხვევაში.¹⁴⁹

მაშასადამე, დასკვნით ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში უბედური შემთხვევისგან დასაქმებულთა სავალდებულო დაზღვევა უნდა ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად, თუმცა ეს ნაბიჯი ჯერჯერობით ვერ ამართლებს დასახულ მიზანს და საჭიროა კანონმდებლობაში გარკვეული დამატებების შეტანა, იმისთვის, რომ უბედური შემთხვევის დაზღვევა გახდეს დასაქმებულთა დაცვის ერთ-ერთი საიმედო მექანიზმი.

¹⁴⁹ იხ. სქ. 133

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა :

1. თ. ვერულავა. დაზღვევის ისტორია. თბილისი. 2013
2. ა. ბორონი. საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი.მერიდიანი თბილისი. 2016.

3. თ. ჭუბაბრია. ლ. გვიშიანი. ს. ჯოხაძე. შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში. თბილისი 2017.
4. ჯ. შათირიშვილი. ნ. კაკაშვილი. სადაზღვეო საქმე. თბილისი 2012
5. თ. ვერულავა. სადაზღვეო საქმის საფუძვლები. თბილისი 2017.
6. ირემაშვილი ე., სადაზღვეო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი, სამართლის ჟურნალი, N2, 2013,
7. დ. ძაგნიძე, დაზღვევის ინტერესი საზღვაო და დაზღვევის ხელშეკრულებაში.
8. მ. ცისკაძე. ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება. თბილისი.2001
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი ტომი II , გამომცემლობა სამართალი. თბილისი 2001.
10. ე. ირემაშვილი. მხარეთა უფლებრივი თანათვარდობის კრიტერიუმები ადაზღვეო ურთიერთობებში. თბილისი 2016.
11. მ. მურტონენი. რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე . (პრაქტიკული სახელმძღვანელო)პირველი გამოცემა.ფინეთის გამოცდილება.2015 წ

გამოყენებული ნორმატიული აქტი :

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
 საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ

გამოყენებული უცხოური ლიტერატურა :

1. E. Mcneill. A Study of Accidents and Accident insurance. Boston. 1900
2. H. Robert. R. Douglas. Understanding Insurance Law. Florida. 2012
 H.J. Hastings. The History and Development of Personal Accident and Sickness Insurance. London. 1922
3. A.P. Woodward. The Disability Insurance Policy. 1971
4. E. s Lott. Accident Insurance. University of PennSylvania. 1905.
5. T. Guinnane. J Streb. Incentives that Saved Lives: Government Regulation of Accident Insurance Associations in Germany, 1884–1914. 2012

6. R Jerry., D. Richmond., Understanding Insurance Law, LexisNexis, 2007
7. M. Rothstein, C Craver, E Schroeder, W Shoben, Employment Law, Third Edition, Thomson West, 2004
8. D. Walters. An International Comparison of Occupational Disease and Injury Compensation Schemes. Cardiff University. March 2007
9. J.P. Leigh. S. Markowitz. M.Fahs. P. landrigan. Cost of occupational Injuries and Illness, The university of Michigan Press.
10. (Strengthening the Role of Employment Injury Schemes to Help Prevent Occupational Accidents and Diseases) International Labour Office, 2013 Geneva.
11. European survey on the conditions of compensation for the victims. Accidents at work and occupational diseases: flat rate or full reparation? 2005.
12. Haller JS. Industrial accidents-worker compensation laws and the medical response. Western J of Med. 1988;
13. C. Villars. Insurance against Employment Accidents and occupational diseases in Switzerland: New federal law of 20 March 1981 on Accident insurance. 2007.
14. REGULATIONS ON EMPLOYMENT, INTERNSHIPS AND TRAINEESHIPS INSURANCE IN EU COUNTRIES Strategic Partnerships for Higher Education – SPRINT – 2017
15. Austria - Benefits in respect of accidents at work and occupational diseases. Available:
<https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1101&langId=en&intPageId=4404>
16. International Labor Organization. Employment Injury Benefits. 2010.
17. P. Tuppin *L. de Roquefeuil, A. Weill, P. Ricordeau, Y. Merlière. French national health insurance information system and the permanent beneficiaries sample. 2010.
18. European Commission. Your social security rights in france. European Union, 2013
19. European Commission. Your social security rights in Germany. European Union 2018.
20. R. lewis. Employers' Liability and Workers' Compensation: England and Wales.

21. ETH. Zurich. Accident insurance SUVA and additional insurance AXA Winterthur. December 2018. Available.:
[https://www.ethz.ch/content/dam/ethz/associates/services/Anstellung-Arbeiten/Downloads/files/infos/Information sheet Accident insurance SUVA and additional insurance AXA Winterthur.pdf](https://www.ethz.ch/content/dam/ethz/associates/services/Anstellung-Arbeiten/Downloads/files/infos/Information%20sheet%20Accident%20insurance%20SUVA%20and%20additional%20insurance%20AXA%20Winterthur.pdf)
22. World Health organization. National Profile of occupational Health System in Finland.2012.
23. I . Shin. J. Byoung. Oh. H. Kwan Yi. Workers' Compensation Insurance and Occupational Injuries. 2011. Page. 148-157
24. P. Zhang. M. Palma. Compulsory versus Voluntary Insurance: A real Experiment.
25. M. Battaglia. M. Frey. E. Passetti. Accidents at Work and Costs Analysis: A Field Study in a Large Italian Company. 2014. 354–366.
26. Eurostat (2010) Health and safety at work in Europe (1999–2007). A statistical portrait. http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/health/health_safety_work.
27. R. j. Butler. The Economics of Social insurance and employee Benefits. University of minesota. U.S.A.
28. Country Report. Employment Injury Insurance in Thailand. 2011
29. Global Programme Employment Injury Insurance and Protection | GEIP
30. Social Security Organization Malaysia Country Report. 2010
31. A. shah. INDIA BRIEFING. Workplace Injury Compensation in India – What Business Need to know. 24 April 2019. Available: <https://www.india-briefing.com/news/workplace-injury-compensation-india-11077.html/>
32. D. Scott. Worker’s Compensation: overview and Issue. 2017.
33. Worker’s Compensation. U. S. DEPARTMENT OF LABOR. An official website of the United States government. Available:
https://www.dol.gov/general/topic/disability/workerscompensation?fbclid=IwAR1qM87_kURNyv5npPcSjNACnqnWUc5IYqvOQSHldeWzg5lrf4UPF6c6CPs
34. I. shin. J-B oh. H. K. Yi. Workers’ Compensation Insurance and Occupational Injuries. 2011 Jun; Page 148–157.

სასამართლო გადაწყვეტილებები :

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 აპრილის N ას-4-381-05 განჩინება
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის N ას-755-811-2011 განჩინება.
3. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის N 2ბ/2583-13 განჩინება.
4. უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის N ას- 1919-2018 განჩინება

ინტერნეტ რესურსი :

WEEKEND. საწარმოო ტრამვის შედეგად ზიანის ანაზრაულება. 19.10.2009.
ხელმისაწვდომია:<http://24blog.ge/weekend/story/477-satsarmoo-travmis-shedegad-miyenebuli-zianis-anazghaureba>

რატომ არის მნიშვნელოვანი საწარმოო ინციდენტების კლასიფიცირება, მოკვლევა და ანგარიშგება ?!, 25.02.2019, ხელმისაწვდომია :
<https://hrhub.ge>